გილოცავთ შობა-ახალ წელს!

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №1-2 (7149) 15 იანვარი 2026 წელი



„ადამიანი დიადი სამყაროა მცირე დასახულობაში განცხადებული“, „იგი ყოველივე ქმნილის ერთიანობაა, რომელიც ხილულ სამყაროს აკავშირებს ღმერთთან“.
წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი (IVს.) და წმინდა გრიგოლ პალამა (XIVს.)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის

საშობაო ეპისტოლე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის საშობაო ეპისტოლე:

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

„ისმინე, ცაო, და ყურად-იღე, ქუეყანაო,

რამეთუ აჰა ესერა, ძე და სიტყუაჲ მამისაჲ მოვალს შობად...

და დამბადებელი ყოველთა დაბადებულთაჲ დაებადების“ (მიქაელ მოდრეკილი) უფლის მოწყალებით, კვლავ დადგა ყველაზე იდუმალი ჟამი, ჟამი იესო ქრისტეს ამ ქვეყნად მოვლინებისა. ეს ყველაზე დიდი სიახლეა სამყაროს შექმნიდან დღემდე მომხდარ და მომავალშიც მოსახდენ სასწაულთა შორის, რადგან ვერაფერი შეედრება წუთისოფელში დაუსაბამო ღმერთის ხორციელად შობის საოცრებას.

მცირედით მაინც რომ ვიგრძნოთ ამ მოვლენის სიდიადე, შეგახსენებთ საყოველთაოდ ცნობილ რეალობას: სამყაროში მილიონობით ვარსკვლავია, რომელნიც ქმნიან გარკვეულ ჯგუფებს – გალაქტიკებს. ჩვენს გალაქტიკას „ირმის ნახტომს“ უწოდებენ. იგი იმდენად დიდია, რომ სინათლის სიჩქარით (ანუ წამში 300 000 კილომეტრით) მოძრავ ტალღას მისი ერთი ბოლოდან მეორემდე მისაღწევად 100 000 წელი მაინც დასჭირდება.

ასეთი გალაქტიკა კი კოსმოსში უთვალავია; თითოეული მათგანი დიდი კანონზომიერებით იმართება და ღაღადებს, რომ ყოველივე ხილულისა და უხილავის შემქმნელი არის დაუსაბამო და უსასრულო უფალი.

გამაოგნებელია, რომ სწორედ უჟამო იგი, ჟამიერი გახდა; ყოვლისმპყრობელი არსთა გამრიგე, მსგავს ჩვენდა ქმნილი, ერთ-ერთი გალაქტიკის უმცირეს ნაწილში, დედამიწაზე, ზამთრის ცივ ღამეს, ბეთლემის ბაგაში მწოლი, წარუდგა სამყაროს.

ასეთი სიმდაბლით განგვეცხადა ყოვლადწმინდა სამების მეორე პირი, იესო ქრისტე, რათა შობიდანვე და შემდგომ, 33 წლის მანძილზეც, მოეცა ჩვენთვის პირადი მაგალითი თავმდაბლობისა, მოთმინებისა, სიმართლისა, მშვიდობისა... და, რა თქმა უნდა, სიყვარულისა.

რით დავიმსახურეთ შენი ასეთი თავდადება, უფალო?

რას წარმოადგენს ადამიანი, რა ღირსება აქვს, რომ ასეთი პატივი მიაგე მას?

☞3

ალილო თერჯოლაში

შობას, 7 იანვარს, ჭაბუკმთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრიდან ალილოს მონაწილეებმა თერჯოლის ცენტრისაკენ დაიწყეს მსვლელობა. მახარობელ-მგალობლებს, ანგელოზთა გუნდს, მწყემსებს, მოგვებს წინ საეკლესიო დროშებით სასულიერო პირები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და მედროშე ცხენოსნები მიუძღოდნენ. მსვლელობის მონაწილეებს გზად სასაჩუქრე კალათებით ხვდებოდნენ, რომელიც შემდეგ შეჭირვებულებს დაურიგდათ. ალილოს მსვლელობა ხარების სახელობის ტაძართან დასრულდა.

☞12

გვილოცავენ, ვულოცავთ!

ზვიად შალამბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, ბაღდათის, ზესტაფონის, თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების დელეგატი

ძვირფასო თანამემამულენო, ძვირფასო მეგობრებო, საქართველოს მოქალაქეებო.

წელიწადში არის ერთი განსაკუთრებული მომენტი, როცა დრო თითქოს ჩერდება.

როცა უკან ვიხედებით, არა შეცდომების საძებნელად, არამედ იმისთვის, რომ საკუთარ თავს გულწრფელად ვუთხრათ:

ეს გზა ღირსეულად გავიარეთ.

რამდენიმე საათში დადგება 2026 წელი.

და ამ საღამოს მსურს მოგმართოთ არა მხოლოდ როგორც საჯარო პირმა, არამედ როგორც ადამიანმა, რომელიც თქვენთან ერთად ცხოვრობს ამ ქვეყანაში, უყვარს იგი და პასუხისმგებლობას გრძნობს მის მომავალზე.

2025 წელი მარტივი არ ყოფილა. სამყარო ჩვენს გარშემო სავსე იყო დაძაბულობით, გამოწვევებითა და გაურკვევლობით. მაგრამ სწორედ ასეთ პირობებში მოწმდება სახელმწიფოს სიმტკიცე, ინსტიტუტების მდგრადობა და საზოგადოების ერთიანობა. და დღეს შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა:

საქართველომ ამ წელს ღირსეულად გაუძლო!!!

ჩვენ შევინარჩუნეთ სტაბილურობა. გავაძლიერეთ ეკონომიკა. განვაგრძეთ განვითარება…

არა სიტყვებით, არამედ კონკრეტული საქმეებით. ქვეყანაში აშენდა გზები, განახლდა წყალმომარაგებისა და კომუნალური სისტემები, შეიქმნა ახალი საწარმოები და სამუშაო ადგილები, განხორციელდა სოციალური პროგრამები, ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად და პასუხისმგებლობით კიდევ უფრო მეტად განვითარდა რეგიონები…

განსაკუთრებით მსურს გამოვყო ჩვენი მუნიციპალიტეტები: ბაღდათი, ზესტაფონი, თერჯოლა და ტყიბული.

აქ, იმერეთში, ჩვენ ვხედავთ არა აბსტრაქტულ სტატისტიკას, არამედ რეალურ ცვლილებებს ადამიანების ცხოვრებაში.

ბაღდათში წყდება ის საკითხები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელად ითვლებოდა… წყალმომარაგება, ინფრასტრუქტურა, ცხოვრების საბაზისო ხარისხი.

ზესტაფონში კვლავ იბრუნებს ძალას სამრეწველო პოტენციალის. იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, მტკიცდება რეგიონის ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

თერჯოლა თანმიმდევრულად ავითარებს სოციალურ პროგრამებს, უჭერს მხარს ოჯახებს, ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს… იქ, სადაც სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღება მართებს.

ხოლო ტყიბული… ქალაქი რთული ისტორიით…. დღეს ახალ განვითარების გზას პოულობს: ინვესტიციების, ინოვაციების, ახალი ეკონომიკური მოდელების მეშვეობით და იმ ადამიანების შრომის პატივისცემით, ვინც ათწლეულების განმავლობაში ქმნიდა მის საფუძველს.

ყველა ამ პროცესს ერთი რამ აერთიანებს: სახელმწიფოს ადამიანების გვერდით დგომა! ხმამაღალი ლოზუნგების გარეშე. ცარიელი დაპირებების გარეშე. პასუხისმგებლობით თითოეულ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ძვირფასო მეგობრებო, სამშობლოს სიყვარული მხოლოდ ემოცია არ არის. ეს არის ყოველდღიური შრომა, ურთიერთნდობა, და უნარი, შევინარჩუნოთ ერთიანობა, მაშინაც კი, როცა აზრები განსხვავებულია.

დღეს საქართველო ვითარდება საკუთარი, მშვიდობის, სტაბილურობისა და ეროვნული ღირსების გზით.

ჩვენ ვიცით, ვინ ვართ. ვიცით, საით მივდივართ. და გვესმის, რომ მომავალი ერთ დღეში არ იქმნება, ის ნაბიჯ-ნაბიჯ შენდება.

გისურვებთ, რომ 2026-მა წელმა თითოეულ ოჯახში მოიტანოს მშვიდობა, ჯანმრთელობა და ხვალინდელი დღის რწმენა. დაე, ეს წელი გახდეს ახალი შესაძლებლობების, ახალი მიღწევების და ჩვენი ქვეყნის მიმართ კიდევ უფრო ძლიერი რწმენის წელი.

გილოცავთ ახალ წელს.

გილოცავ ახალ წელს, საქართველო!

ბატონმა ზვიად შალამბერიძემ საახალწლო მიმართვა ქალაქ თერჯოლიდან 2025 წლის 31 დეკემბერს გაავრცელა!

ლევან ზალკალიანი, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში

გილოცავთ 2026 წელს!

ახალ წელს მოეტანოს მშვიდობა, კეთილდღეობა, წარმატება და სიხარული თქვენთვის, თქვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის!

განსაკუთრებით ვულოცავ შობა-ახალ წელს იმერეთის რეგიონის მოსახლეობას! გულწრფელ მადლობას ვუხდი თითოეულ ადამიანს, ვინც ყოველდღიური შრომით, პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით ემსახურება ჩვენი რეგიონისა და ქვეყნის განვითარებას!

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, 2025 წელი იმერეთისთვის მნიშვნელოვანი წინსვლის წელი იყო.

რეგიონის განვითარებისთვის, საერთო ჯამში 862 576 937 ლარი დაიხარჯა და განხორციელდა 3 ათასამდე პროექტი. გპირდებით, რომ 2026 წელი იქნება კიდევ, უფრო მეტად წარმატებული და ყველა პროექტი მოსახლეობის საჭიროებებსა და კეთილდღეობაზე მეტად მორგებული.

ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის განვითარება თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა. მჯერა, ერთობლივი ძალისხმევითა და შემართებით, შევძლებთ ძლიერი, სტაბილური და წარმატებული საქართველოს აშენებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ 2026 წელს!

მეუფე გიორგი (შალამბერიძე), ტყიბული-თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტი

წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ქრისტეს დაბადება შეუძლებელია გააზრებულ იქნას ადამიანური ლოგიკით. ეს არის სასწაული, რომელიც აღემატება ადამიანის გონებას. „ნუ შემეკითხები, როგორ მოხდა ეს სასწაული? რამეთუ, როდესაც ბრძანებს უფალი, ბუნება მხოლოდ მორჩილებს. მან ინება და შეძლო, მოვიდა და გვიხსნა! ღვთის ნებამ არ იცის რა არის წინააღმდეგობა და არსებული უწინარეს ყოველთა საუკუნეთა - დღეს ხორციელდება!“

სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ ქრისტესშობის დღეასასწაულს თქვენთვის მლოცველი მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე)

მანუჩარ რობაქიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი

გილოცავთ ქრისტეშობას და ახალ წელს!

უფლის წყალობა და შობის მადლი არ მოგკლებოდეთ თითოეულ თქვენგანს, ღიმილიანი და ბედნიერი ადამიანების წელი დამდგარიყოს!

დასრულდა წარმატებებით სავსე კიდევ ერთი წელი - 2025 წელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, არაერთი პროექტი და პროგრამა განხორციელდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ თერჯოლელს, ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, ვინც ყოველდღიურად ზრუნავს ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლასა და განვითარებაზე!

გისურვებთ კიდევ უფრო წარმატებულ 2026 წელს, სიკეთეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას! ადგილობრივი თვითმმართველობა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ძალას არ დაიშურებს ჩვენი მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისთვის. 2026 წელს გვინდა ბევრი პროექტი და დადებითი ემოცია გაჩუქოთ, მინდა ყველა სოფელი იყოს ძლიერი, თერჯოლა კი - კიდევ უფრო ლამაზი, სუფთა და კეთილმოწყობილი.

სოსო ჩაფიჩაძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გილოცავთ შობა - ახალ წელს!

ძვირფასო თერჯოლელებო, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით, გილოცავთ ახალ 2026 წელს! ეს წელი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის მშვიდობის, კეთილდღეობის და ჯანმრთელობის მომტანი!

მინდა რომ 2026 წელი კიდევ უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს თითოეული თქვენგანისათვის.

გპირდებით, ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისთვის, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი წარმატებული იყოს. მჯერა, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, ჩვენ შევძლებთ უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ!

კიდევ ერთხელ ვულოცავ სრულიად საქართველოს და გისურვებთ ბედნიერ შობა - ახალ წელს!

„ადამიანი დიადი სამყაროა მცირე დასახულობაში განცხადებული“, „იგი ყოველივე ქმნილის ერთიანობაა, რომელიც ხილულ სამყაროს აკავშირებს ღმერთთან“.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი (IVს.) და წმინდა გრიგოლ პალამა (XIVს.)

1☞

საშობაო ეპისტოლე

თანამედროვე კვლევები ადასტურებენ, რომ ნებისმიერი ჩვენგანი საოცრებაა; საოცრებაა თითოეული ჩვენი ორგანოც, მათი ფუნქცია და მუშაობის მექანიზმი. ავიღოთ თუნდაც ტვინი, რომელიც მოიცას 86 მილიარდამდე ნეირონს და ასეულობით ტრილიონ მათ ურთიერთდამაკავშირებელ რგოლს, რომელნიც ტვინში ყოველდღიურად მილიონობით ბრძანებას ატარებენ ისე, რომ ერთმანეთს არ ეხებიან, რადგან თითოეული მათგანი გარემოცულია ერთგვარი ველით. ამ მოქმედებების სირთულე კი ჩვენს ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება. ამასთან, ეს მხოლოდ მცირე გამოვლინებაა იმ შესაძლებლობებისა, რაც ჩვენშია ჩადებული.

ნუთუ ეს ყველაფერი არაფრისმომცემი, უშინაარსო, წარმავალი ყოველდღიურობისათვის გვებოძა?

ცნობილია ისიც, რომ დედამიწაზეც და მზის სისტემაშიც, საერთოდ, ჩვენ გარშემო არსებულ კოსმოსში, ყოველივე დიდი სიზუსტით არის გათვლილი და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის არსებობისათვის ქმნის სათანადო პირობებს; წელიწადის დროთა მონაცვლეობა, მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა, ზღვის ბინადართა სიმრავლე … წყალი, ჰაერი, მიწა… მათი შეზავება და დანიშნულება… ადამიანს ემსახურება.

ანუ ჩვენ, ჩვენდა გაუცნობიერებლად, განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ ვიმყოფებით, ენით უთქმელი შესაძლებლობისანი ვართ და ჩვენი ამქვეყნად მყოფობა, ბუნებრივია, არ შეიძლება შემთხვევითი და უაზრო იყოს;

და მართლაც, იგი დიდ დატვირთვას ატარებს და დიდი მიზნის განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს.

ეს კარგად იცოდნენ გაცილებით ადრეც, წინარე საუკუნეებში.

აი, რას წერდნენ წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი (IVს.) და წმინდა გრიგოლ პალამა (XIVს.): „ადამიანი დიადი სამყაროა მცირე დასახულობაში განცხადებული“, „იგი ყოველივე ქმნილის ერთიანობაა, რომელიც ხილულ სამყაროს აკავშირებს ღმერთთან“.

წმინდა წერილი კი ასეთ საოცარ საიდუმლოს გვიმხელს: „ღმერთი სამე ხართ და შვილნი მაღლისანი თქვენ ყოველნი“ (ფს. 8. 1, 6,). „ნუთუ არ იცით, რომ ღმერთის ტაძარნი ხართ, და სული ღმრთისა დამკვიდრებულია თქვენში?“ (I კორ. 3.16).

ე. ი. ჩვენ შემოქმედის თანაზიარნი ვართ! მისნი ვართ! დაცემულნი, ცოდვით დამძიმებულნი, მაგრამ მაინც მისნი! ამიტომაც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენს ჩვენდამი; ჩვენ კი რით ვპასუხობთ ამ სიყვარულსა და ნდობას?!

* * *

2025 წელს ქრისტიანულმა სამყარომ აღნიშნა ნიკეის I მსოფლიო კრების 1700 წლისთავი. ეს კრება კაცობრიობისათვის იქცა დიდი შემობრუნების საწყისად. მან განსაზღვრა ქრისტიანული მსოფლიოს ერთიანი რწმენა, საეკლესიო წესრიგი, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ახალი მოდელი, რაც შემდგომში მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის ცივილური პოლიტიკური და სოციალური არქიტექტონიკის საფუძვლად იქცა.

საამაყოა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ანუ 326 წელს, საქართველომ სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა აღიარა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა იმდროინდელი სამყაროს მოწინავე ქვეყანათა შორის იყო თავისი სულიერი ღირებულებებით, სამართლიანობის სწორი აღქმით და იმ უმაღლესი იდეალებისადმი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით, რაც ნიკეის კრებამ ქრისტიანული მსოფლიოსათვის განსაზღვრა.

სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადება იყო შედეგი იმ რწმენისა, რომელიც მოციქულების დროიდან, ანუ I საუკუნიდან, დაითესა ჩვენს ერში.

დღეს, როდესაც არაერთი კულტურული და მსოფლმხედველობითი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, 325-326 წლების მონაკვეთი და ისტორიული თანხვედრა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ქართველი ერის სიძლიერე ეყრდნობა ქრისტიანული ღირებულებების ერთიანობას, სულიერ და სამოქალაქო წესრიგს და იმ არჩევანს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა 1700 წლის წინ შეუდგა. ამ ღირებულებათა დაცვა არის არა მხოლოდ წარსულისადმი ერთგულება, არამედ მომავალშიც ჩვენი სწორი ორიენტირის უმთავრესი პირობაც, რადგან უფალი და მისი სწავლება ჭეშმარიტია და დროის ცვალებადობას არ ექვემდებარება.

მაგრამ თანამედროვე ადამიანი ხშირად ვერ წვდება უფლისმიერ ჭეშმარიტებას, ვერ ხვდება თავისი სიცოცხლის აზრს და ვერ აცნობიერებს, რატომ უნდა თქვას უარი ცოდვისმიერ მიწიერ კეთილდღეობაზე, ან სწორად როგორ წარმართოს თავისი ყოველდღიურობა.

* * *

სამოთხიდან ჩვენი გამოდევნა სასჯელი იყო და არის, თუმცა, დედამიწაზე ჩვენი მწირობის პერიოდი, როგორ ხანგრძლივადაც არ უნდა მოგვეჩვენოს იგი, მეტად მცირე ხნით შემოიფარგლება. ღვთის მოწყალებით, განეგო ისე, რომ ეს, მართლაც, წუთისსოფელი, მარადიულობასთან შედარებით, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენი სულიერი სამყარო გამოვლინდეს და ჩვენი შინაგანი ბუნება წარმოჩინდეს.

დედამიწაზე ჩვენ შეზღუდულნი ვართ როგორც დროში, ისე შესაძლებლობებით. ჩვენი საქმიანობით, აზროვნებით, მეტყველებით, განწყობით… ჩვენ მხოლოდ ვქმნით საწინდარს მომავალი სულ სხვა ცხოვრებისათვის. სახარებისეული შედარება რომ მოვიშველიოთ, ერთგვარად ვაყალიბებთ ამა თუ იმ სახეობის მცენარის თესლს და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენი ცხოვრებით გამოძერწილი ჩვენი სულიერი სამყარო რა გამოვლენას ჰპოვებს მარადიულობაში: აღმოცენდება იგი კეთილ ნერგად, კეთილ ხედ, სარეველად თუ ღვარძლად.

როგორი იქნება ჩვენი მდგომარეობა გარდაცვალების შემდეგ?

ამაზე ფიქრი და ამისთვის ზრუნვა უნდა იქცეს თითოეული ჩვენგანისთვის უპირველესად.

ღმერთს ყველას გადარჩენა და ცხონება სურს, ამიტომაც ყველა დროში ყველა თაობას შესაბამისად წვრთნიდა და სულიერ საფეხურებზე თანდათანობით აჰყავდა; ზოგჯერ – ტკივილითა და მწუხარებით, ზოგჯერ – გულმოწყალებით, ხან – განსაცდელებით, ხან კიდევ მშვიდობისა და სიკეთის მიფენით…

წარმართულ პერიოდში სჯულის მიცემით მხოლოდ ებრაელთა ერს ებოძა სწავლება ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ და მიეცა ცოდნა ავისა და კარგის გარჩევისა, ღვთის სათნო ცხოვრებისა. რთული გზა გაიარა ისრაელმა, მაგრამ შეძლო, შემოქმედისთვის მიეგებებინა ღირსეულ მეფეთა, მსაჯულთა, წინასწარმეტყველთა და სხვა წმინდანთა დასი; რაც მთავარია, შეძლო, მიეგებებინა ადამის მოდგმის მშვენება და ბრწყინვალე სამკაული – მარადქალწული დედა უფლისა, ყოვლადწმინდა მარიამი – კიბე ღვთის ქვეყნად ჩამომყვანებელი.

და, აი, იშვა მხსნელი იესო; მაგრამ ბეთლემში სიკვდილის დამთრგუნველის მოვლინებას ქვეყნის მმართველნი სიხარულით არ შეხვედრიან; პირიქით, მისი მოკვლა იქცა მეფე ჰეროდეს მთავარ მიზნად, რადგან მასში თავისი ძალაუფლების დამხობის საშიშროებას ხედავდა; ამიტომაც, ჰეროდეს ბრძანებით, ათასობით ჩვილ ყრმას სიცოცხლე მოუსწრაფეს იმ იმედით, რომ მათ შორის აუცილებლად იქნებოდა იესოც.

მაცხოვრისგან განდგომის და მისი უარყოფის მცდელობა, I საუკუნიდან მოყოლებული, სხვადასხვა სახით გამოვლენილი, დედამიწაზე ყოველთვის იყო: ამახინჯებდნენ მის მცნებებს, დასცინოდნენ მორწმუნეთ, შეურაცხყოფდნენ სიწმინდეებს ან, საერთოდაც, ქადაგებდნენ უღმერთობას…

ეს ყოველივე ნათლად მეტყველებს კაცთა მოდგმის დიდი ნაწილის მეტად სამწუხარო მდგომარეობაზე; იმაზე, რომ ისინი არა მხოლოდ შეეჩვივნენ ცოდვას, არამედ ცოდვასთან ერთად ყოფნა მოსწონთ; იმდენად შეეთვისნენ თავის დაცემულ მდგომარეობას, რომ გამოსწორების სურვილი აღარ აქვთ და მარადიული სატანჯველისათვის სწირავენ თავს, რადგან ასე ყოფნა სურთ.

ყველაზე საშიში სწორედ ეს არის – როცა სულიერი სიკვდილი შინაურდება და ნამდვილი სიცოცხლე უცხო ხდება!

* * *

განკაცებულმა ღმერთმა, რომლისგანაც „შეიქმნა ყოველი … ხილული თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი“ (კოლას. 1.16), კაცობრიობას ახალი მცნების მთავარი არსი ამ სიტყვებით განუცხადა: „გიყვარდეთ ერთმანეთი და როგორც მე შეგიყვარეთ, ასევე, გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი” (იოანე 13,34), რაც სხვისთვის (მოყვასისთვის) თავდადებულ სიყვარულს გულისხმობს. (რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჩვენი სიყვარული უნდა ეკუთვნოდეს ღმერთს და შემდეგ, ნებისმიერ პიროვნებას, როგორც ღვთის ხატს).

მეტად მნიშვნელოვანია, რომ მაცხოვარს ჩვენთვის არ განუსაზღვრავს, მოყვასი კეთილი უნდა იყოს თუ ბოროტი, წარმატებული თუ წარუმატებელი, მდიდარი თუ ღარიბი, გონიერი თუ უგუნური…

ჩემ მსგავსად გიყვარდეთ ერთმანეთი! – ეს ერთადერთი, მაგრამ, სინამდვილეში, მრავლისმომცველი მოთხოვნა მოგვეცა შესასრულებლად!

უფალი თავის თავს უძღვნის ყველას და, სიყვარულის სიდიადიდან გამომდინარე, ჩვენც მოგვიწოდებს, რათა მის მიერ მოცემული ადამიანობის მაგალითი ყველამ გავიზიაროთ და მისნი გავხდეთ.

ერთი შეხედვით, თითქოს იოლია ამ მცნებით ცხოვრება, მაგრამ ამ ქვეყნად ეშმაკისაგან ათასნაირი საცდური და მახეა დაგებული და ჩვენი გონება ხშირად ვერ აცნობიერებს, სინამდვილეში ვისი მსახურნი ვართ. ამიტომაც ვცდებით, საკუთარი თავი კი მართალი გვგონია.

მაგალითად, დღეს სიყვარულზეც და თავისუფლებაზეც ყველა ლაპარაკობს, მაგრამ გამოუსწორებელ შეცდომას უშვებენ ისინი, ვინც ცოდვის და ცოდვითი ცხოვრების სიყვარულს ჭეშმარიტ სიყვარულთან აიგივებენ და ისინიც, ვინც ყველაფრის უფლებას თავისუფლებად მიიჩნევენ.

სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება ჩვენი დროის ერთ-ერთი ურთულესი გამოცდაა, რომელსაც წარმატებით მხოლოდ ის დაძლევს, ვინც შეძლებს სიმართლის გზით უფლისკენ ღირსეულ სვლას, დათმენასა და პატიებას; ვინც ნებისმიერ ადამიანში, ცოდვათა სიმძიმის მიუხედავად, მაინც დაინახავს ხატებას ღვთისას და ბოროტებაზე ბოროტებით არ უპასუხებს.

იაკობ მოციქული გვაფრთხილებს: „ბოროტი ენა ცეცხლია, სიცრუის სამკაული… მას ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენი სხეულის ნაწილებს შორის, რომ ბილწავს მთელ სხეულს… იგი აღვირახსნილი ბოროტებაა, სავსე მომაკვდინებელი გესლით“ (იაკობი 3,6-8), ხოლო „ვინც არ სცოდავს სიტყვით, ის სრულქმნილი კაცია“ (იაკობი 3.2).

უფალი თავს არაფერს გვახვევს: „ადამიანის წინაშეა სიცოცხლე და სიკვდილი და რომელსაც ისათნოებს, ის მიეცემა” (ზირაქი 15,17).

შენ ნუ შეგეშინდება სახარებისეული უფლის მცნებების, მოციქულთა და წმ. მამათა დარიგებების მიხედვით შენი ცხოვრების განახლებისა; წინ აღუდექი იმ უკეთურ სურვილებსა და მიდრეკილებებს, რაც ღვთის მიერ დადგენილი წესების მტრად გაქცევს, რაც შენს რწმენას აზიანებს, რყვნის და მას უნაყოფოსა და უსარგებლოს ხდის.

იღვაწე და იბრძოლე სიცოცხლისათვის, მარადიული სიცოცხლისათვის; ღვთისგან შენთვის ბოძებული შესაძლებლობების გამოვლენისა და აღორძინებისათვის; უფალს შენთვის ისეთი ჯვარი არ მოუცია, რომლის ტარებასაც ვერ შეძლებ. მაშ, მოინდომე და იცხოვრე არა მოჩვენებითი, არამედ ჭეშმარიტი სიყვარულის კანონებით, რათა განიღმრთო და მარადიულობაში იხარო.

* * *

და ბოლოს, კიდევ ერთხელ მინდა, გითხრათ:

ქრისტეს შობა დღესაც და მარადჟამს მოქმედი საიდუმლოა, რომელმაც საფუძველი დაუდო პიროვნების გარდაქმნის პროცესს. ამასთან, მან ფუნდამენტურად შეარყია არსებული მდგომარეობა და მთელი ხილული სამყარო ღვთის შემწყნარებელ სივრცედ აქცია; თავად შემოქმედმა მიიღო თავისი ქმნილება და უხრწნელმა შეიმოსა ხრწნადი ბუნება, რათა ხრწნადობაში თავისი უხრწნელების ძალა დაენერგა და იგი ღვთისმიერი სიცოცხლისთვის ეზიარებინა.

ამით კი ჩვენი არსებობის ჭეშმარიტი აზრი და დანიშნულება გამობრწყინდა, მოეხსნა კრეტსაბმელი იმ რეალობებს:

რომ სიკვდილი და ხრწნილება არაა ჩვენი ბუნების არსი;

რომ ჩვენ ზეცის სიმაღლეებისა და მარადიული ცხოვრებისათვის ვართ მოწოდებულნი;

რომ ღვთის ჭეშმარიტი სიყვარული და ადამიანისადმი ჩვენი ნამდვილი სიყვარული განუყოფელია;

რომ ამ ურთიერთობაში უნდა დაიბადოს ახალი ცხოვრება, რომელიც კაცობრიობას მშვიდობის, ერთობისა და განახლებისკენ მოუწოდებს;

და რომ ღვთის განკაცების საიდუმლოს მიღმა უკვე ვეღარაფერი დარჩება: ვერც წარსული, ვერც აწმყო და ვერც მომავალი!

* * *

ქრისტეს სახარებით გახარებულო, ზეციური მადლითა და უფლის წყალობით აღვსილო რჩეულო მართლმადიდებელო ერო, ცხოველსმყოფელი რწმენით, იმედითა და სასუფევლის დამკვიდრების სურვილით აღძრულო სამწყსოვ, კიდევ ერთხელ გილოცავთ ცისა და ქვეყნის მოლოდინის გამობრწყინებას – უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტეს შობას!

დღეს უნდა წარიხოცოს ყოველგვარი მწუხარება, უნდა დაცხრეს ყოველგვარი შფოთი და ვნება, სისხლისღვრა და ომი, დადუმდნენ მოპაექრეთა გუნდნი, განქარდეს უიმედობა, შური და ღვარძლი და ღვთისადმი სიყვარულით აღძრული ჩვენი გონება, სული და გული ანთებული სანთლით სულიერად უნდა წარემართოს წმინდა მიწისკენ, რათა, ქალდეველ მოგვთა და ბეთლემში მყოფ მწყემსებთან ერთად, ანგელოზთა გუნდს შევუერთოთ ჩვენი ხმაც და სიხარულით აღმოვთქვათ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!“

ამ იდუმალ ღამეს განსაკუთრებულად გევედრები, ჩვენი ხსნისათვის განკაცებულო, ბეთლემს შობილო ყრმაო, ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, ზეციურნო ძალნო, ყოველნო წმინდანო ღვთისანო, დაგვლოცეთ და დალოცეთ სრულიად საქართველო, მკვიდრნი მას შინა, სამშობლოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამემამულენი; მშვიდობა მომადლეთ მსოფლიოს, განგვაშორეთ სიმძიმე ჩვენი დაცემული ბუნებისა, ერთობითა და ჭეშმარიტი სიყვარულის ნიჭით გვაკურთხეთ და ღვთის თანაზიარნი გვყავით ყოველნი.

ქრისტე იშვების, – უგალობდეთ!

ქრისტე ზეციით გარდამოვალს, – მიეგებვოდეთ!

ქრისტე ქუეყნასა ზედა, – ამაღლდებოდეთ!

უგალობდით უფალსა ყოველი ქვეყანა!

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი,
შობა ქრისტესი,
2025-2026 წწ.

წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საახალწლო მზადება გასული 2025 წლის ბოლო თვის, დეკემბრის პირველი დღეებიდანვე დაიწყო. 2026 წლის შესახვედრად ემზადებოდა ყველა—მოსახლეობაც და თვითმმართველობაც, მოსწავლე-ახალგაზრდობა, შემოქმედებითი კოლექტივები, ორგანიზაცია-დაწესებულებები...

განისაზღვრა წინასაახალწლო და მომდევნო დღეების ძირითადი ღონისძიებების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა საახალწლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრის—ქალაქ თერჯოლის ცენტრალური ქუჩის და მიმდებარე ტერიტორიების საახალწლო მცირე არქიტექტურული ფორმის კონსტრუქციებით, განათებებით, მთავარი ნაძვის ხის და მთავარი საახალწლო ღონისძიებებისათვის სცენის მოწყობას, 31 დეკემბერს, ახალი წლის შესახვედრი მთავარი ღონისძიებების და 7 იანვარს „ალილოს“ ჩატარების სცენარების მომზადებას.

საახალწლოდ, ასევე ნობათები მომზადდა სოციალურად შეჭირვებულთათვის,—მრავალშვილიან ოჯახებზე, მარტოხელა მშობლებსა და შშმ პირებზე გადასაცემად.

დაიგეგმა სხვა საინტერესო ღონისძიებებიც, რომელთა შესასრულებლად მთელი პასუხისმგებლობით იმუშავეს მერიის შესაბამისი სამსახურების—განსაკუთრებით კი კომუნალური (ტარიელ ფანჩულიძე), კულტურის, განათლების და ახალგაზრდობის (მაკა ასათიანი) და სოციალური (დიანა ფოცხვერაშვილი) თანამშრომლებმა, სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

უნდა ითქვას, რომ განსაზღვრული საახალწლო პროგრამიდან (ტექნიკური საკითხები და საახალწლო ღონისძიებები) ყველა ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩატარდა, მათ შორის მთავარი ნაძვის ხის ანთება და სამთავრობო კონცერტი 23 დეკემბერს, „ალილო“ 7 იანვარს და სხვა, მაგრამ 31 დეკემბრის ცენტრალური და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საახალწლო კარნავალი, ძველით ახალი წლის შესახვედრად 13 იანვრისათვის გადაიდო, ერთადერთი მიზეზის, 29-30 დეკემბრის დიდთოვლობის გამო, რომელმაც დიდი პრობლემები შექმნა, როგორც გადაადგილების ისე მოსახლეობისათვის ელენერგიის მიწოდებაში.

ჩვენი გაზეთის ან ნომერში სწორედ ასეთ ამბებზე მოგითხრობთ რუბრიკით „წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში“.

სხვა საახალწლო ამბებზე მომავალ ნომერში.

საახალწლოდ სტიქიამ მორიგი მკაცრი გამოცდა მოგვიწყო...

გასული წლის მიწურულს, 29-30 დეკემბერს გადაუღებლად თოვდა. მისმა საფარმა მუნიციპალიტეტის ზედა ზონის სოფლებში ზოგან ერთ მეტრს გადააჭარბა.

არნახულად მძიმე იყო თოვლის საფარი. ხე-ნარგავებმა მის სიმძიმეს ვერ გაუძლეს, ბევრგან მათ ტოტებიც მოტყდა, შუაზეც გადატყდა და ძირფესვიანად მოითხარა კიდეც. მათი დაცემით სერიოზულად დაზიანდა ელექტროგადამცემი და საკაბელო ინტერნეტკავშირების ხაზები, შეწყდა მოსახლეობისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის შუქისა და წყლის მიწოდება. გაუვალი გახდა სასოფლო და საუბნო გზები.

შექმნილი კრიტიკული სიტუაციის გამო მუნიციპალიტეტის მერის ხელმძღვანელობით მუშაობას ოპერატიულად შეუდგა საგანგებო შტაბი. ოპერატიულად დაიწყო გზების თოვლისაგან გაწმენდის სამუშაოები, ამ მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიებისაგან დაქირავებული ტექნიკით.

სულ გზების გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 36-მა ერთეულმა ტექნიკამ. გაიწმინდა 19 ტერიტორიული ერთეულის 45 სოფლის და ქალაქ თერჯოლის ცენტრალური და საუბნო გზები.

საავტომობილო მიმოსვლა მუნიციპალიტეტის სოფლებში მალევე აღდგა.

განსაკუთრებულად რთულ მდგომარეობაში ჩავარდა „ენერგოპროჯორჯიას“ თერჯოლის სერვისცენტრი, სადაც ავარიული ამორთვები 30 დეკემბრიდან დაიწყო. მალევე ფიდერებს საერთოდ აღარ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, რადგან დიდთოვლობით წაქცეული ხე-ნარგავებისაგან ბევრ ადგილზე დაზიანდა გადამცემი ხაზები.

ასეთ პირობებში თავგანწირვით იმუშავეს სერვისცენტრის თანამშრომლებმა, რომლებთანაც ერთად იყვნენ ამავე პროფილის კერძო კომპანიებიდან დაქირავებული და აღმოსავლეთის რეგიონებიდან მოვლენილი სპეციალისტები. სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართულ ჯგუფებს კარგად დაეხმარა ადგილობრივი მოსახლეობა, რაიონის ხელმძღვანელობა—პირადად მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი. იმ რთულ პერიოდში თერჯოლაში ვითარებას ადგილზე პირადად გაეცნო „ენერგოპროს“ გენერალური დირექტორი.

მართალია, საახალწლოდ შუქი თერჯოლაში ყველგან არ იყო, მაგრამ ერთობლივი მუშაობით შესაძლებელი გახდა, რომ დარჩენილი ფიდერების ეტაპობრივი ჩართვა მალევე დაწყებულიყო.

ვერ ვიტყვით რომ საახალწლოდ დალხენილ მდგომარეობაში იყო „საქორგაზის“ თერჯოლის სერვისცენტრი. „მთავარი მაგისტრალიდან ჩვენ გაზის მიწოდება არ შეგვიწყვეტია, არ შეწყვეტილა გაზის მიწოდება არცერთ სოფელზე, გარდა ადგილობრივი ლოკალური დაზიანების შემთხვევაში, რაც ოპერატიულად აღმოიფხვრა,“ განაცხადა ჩვენთან საუბარში სერვისცენტრის მენეჯერმა გიგა ზაუტაშვილმა. მან იქვე ერთი მაგალითიც მოიყვანა. სოფელ სეფარეთში სოფლამდე მისასვლელი გაზმიწოდების ცენტრალური მილი, რომელიც რთულ რელიეფზე გადის დიდი თოვლისაგან მოტეხილმა ხეებმა დააზიანა, რაც საშემდუღებლო სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა.

ავარიის ოპერატიულად აღმოფხვრაში ძალიან დაგვეხმარნენ ადგილობრივები. ერთად გავწმინდეთ ჩახერგილი მაგისტრალი, შესადუღებელი მოწყობილობებიც ერთად ავიტანეთ დაზიანების ადგილამდე და აღვადგინეთ კიდეც.

ასეთი თანადგომა კომუნალურ სამსახურებს ყოველთვის სჭირდებათ.

***

მადლობა სეფარეთლებს!

და არა მარტო მათ, ბევრ, ძალიან ბევრ თერჯოლელს, რომლებიც აქტიურად დაუდგნენ მხარში ენერგეტიკოსებს თუ მეგზევეებს, გაზკომპანიის თანამშრომლებს და ყველას თუ ვინმეს უჭირდა იმ მძიმე დღეებში.

სამწუხაროდ, იყვნენ ადამიანები ვინც გვერდში დგომის ნაცვლად, ფეისბუქგვერდებზე თანადგომის გამოცხადების ნაცვლად მწარე-მწარე პოსტების გამოქვეყნებით იწონებდა თავს. მაშინ, როცა საკუთარ ეზოში, სახლამდე მისასვლელი ბილიკიც კი არ გაგითოვლია, ასეთი ქმედება ვფიქრობთ სულ რბილად, რომ ვთქვათ—არაკორექტულია.

სწორედ ასეთ ადამიანებს გულისხმობს თავის ამ პოსტში მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.



მირზა ქოჩიაშვილი: **„როცა 24/7 ზე, მუნიციპალიტეტში მოსული უხვი ნალექის შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე ღამეებს ტრაქტორებთან და სოფლის წარმომადგენლებთან კოორდინაციაში აღამებ-ათენებ და სახლში ახალი წლის ღამეს 10 წუთით ოჯახს შეურბენ, მიულოცავ და ისევ სამსახურში ბრუნდები, იმისთვის, რომ ჩვენს მოსახლეობას, ვისზედაც ჩვენ პასუხისმგებლობა გვაქვს აღებული ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი და გზა ქონდეს და ამისათვის ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმს, გულს და სულს ვდებთ და ვიღაცეები ხან დაფარული პოსტებით და ინკოგნიტო სახელებით და გვარებით გვლანძღავს...**

არ გრცხვენიათ? მანუჩართან, სოსოსთან და ზვიადთან ვათენებ 30 დეკემბრიდან დღემდე ღამეებს, რომ ის პრობლემები რაც უხვმა ნალექმა ჩვენს თანამოქალაქეებს შეუქმნა მოვუგვაროთ. ერთი ზარიც არ ყოფილა მერთან, ჩემიდან და ზვიადისგან რეაგირების გარეშე დარჩენილიყოს. ყველა მაჟორიტარი, სოფლის წარმომადგენელი და მათ შორის ჩვენც „ვალინკებით" ფეხდაფეხ დავყვებოდით დაწყვეტილ ელექტროკაბელებს, რათა „ენერგო პრო"-ს წარმომადგენლებს მათ ძებნაში დრო არ დაეკარგათ. რა თქმა უნდა ძნელია ახალი წლის უშუქობაში შეხვედრა. ძალიან კარგად მესმის ეს, მაგრამ კლავიატურაზე მაგარი ბიჭობა კი არ არის საქმე. საქმე ისაა ერთმანეთს ხელს რომ ჩავკიდებთ, შენც ვალინკებს ჩაიცვამ და გვერდით გამომყვები... არასოდეს არ დავიღლები და ღმერთმა ნუ დამღალოს ჩემი მუნიციპალიტეტის, თითოეული თერჯოლელის გვერდით დგომის და მადლობა მანუჩარს, რომ მისი ენერგია და შემართება უფრო მეტ ძალას გვაძლევს მხარში დავუდგეთ ჩვენს ხალხს.

გვიყვარდეს ხალხო ერთმანეთი. არცერთი არა ვართ ციდან ჩამოფრენილი, ვარსკვლავები. ჩვენც თქვენნაირი პატიოსანი გლეხის ოჯახში გაზრდილი ადამიანები ვართ, ჩვენც გვაქვს ოჯახი და ჩვენც თქვენნაირად გვიყვარს.

პატივი ვცეთ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

თქვენი ოჯახის ყველა წევრის ჯანმრთელობის და წარმატების წელი მოგცეთ მამაზეციერმა ღმერთმა.

გილოცავთ ახალ 2026 წელს!“

წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში

პირველი საახალწლო ფოიერვეკი ნაძვის ხე აინთო

23 დეკემბერს, თერჯოლაში, წლის მთავარი საახალწლო ღონისძიება და ნაძვის ხის ანთების ცერემონია გაიმართა.

საახალწლო ღონისძიებები საბავშვო აქტივობებით და ზღაპრის გმირების წარმოდგენებით დაიწყო. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა საშობაო ბაზრობა, შესრულდა მუსიკალური ნომრები, ზეიმის პატარა სტუმრები თოვლის ბაბუამ დაასაჩუქრა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან და ბავშვებთან ერთად, საზეიმოდ აანთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე.

გალა კონცერტში მონაწილეობდნენ ქართველი შემსრულებლები: ეკა კახიანი, ნინი ბადურაშვილი,თაკო გაჩეჩილაძე, ქრისტინე იმედაძე;თემურ თათარაშვილი, მაია ჯაბუა; კახა კუხიანიძე; ჯორჯიან სიქს და გუფილენდი.

საახალწლო ღონისძიებები ფოიერვერკით დასრულდა.

„ახალი წლის დღეები“ მთელი ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს მთავრობის, კულტურის სამინისტროს და სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მხარდაჭერით გაიმართა.

წარმატებული...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე

სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსან ანანო აბულაძეს შეხვდა.

მერმა ანანო აბულაძეს მიღწეული შედეგები მიულოცა, ჯილდო გადასცა და წარმატებები უსურვა.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ანანო აბულაძე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია ქიმიაში, მოპოვებული აქვს არაერთი პრიზი საერთაშორისო და სახელმწიფო კონკურსებსა და ტურნირებზე.

შეხვედრას მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი მაკა ასათიანი, საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ოქრუაძე, თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო მურადაშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე დაესწრნენ.

მუნიციპალიტეტში წარმატებული ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი ფულადი ჯილდო, თერჯოლის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ინიციატივით და დადგენილებით განისაზღვრა.

ახალი წელი მოხუცთა თავშესაფარში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, სიმონეთის მოხუცთა პანსიონატს ეწვია.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბენეფიციარებს შობა-ახალი წელი მიულოცეს და სასაჩუქრე ნობათები გადასცეს.

როგორც მანუჩარ რობაქიძემ აღნიშნა, მუნიციპალიტეტისთვის მსგავსი ტიპის სოციალური მხარდაჭერის აქციები ძალიან მნიშვნელოვანია.

მოხუცთა პანსიონატში თერჯოლის მოსწავლე -ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის აღსაზრდელებმა, ანსამბლმა „იამე“ და ანსამბლმა „მასპინძელომ“ მუსიკალური ნომრებიც შეასრულეს.

მერთან ერთად პანსიონატში იმყოფებოდნენ მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი დიანა ფოცხვერაშვილი, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მაკა ასათიანი, სოფელ ქვემო სიმონეთის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ბრეგვაძე, მერის წარმომადგენელი გია ხუჯაძე და აიპების წარმომადგენლები.

წლის შემაჯამებელი გამოფენა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, თერჯოლის სამხატვრო სკოლაში წლის შემაჯამებელ გამოფენას დაესწრო.

გამოფენაზე საახალწლო თემაზე შესრულებული 100-ზე მეტი მოსწავლის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

მანუჩარ რობაქიძემ სამხატვრო სკოლის პედაგოგებს და აღსაზრდელებს შობა-ახალი წელი მიულოცა და წარმატებები უსურვა.

წინასაახალწლო მილოცვა

მუნიციპალიტეტის მერმა დამდეგი შობა-ახალი წელი, ტრადიციულად 24-საათიან რეჟიმში მომუშავე სამსახურებს მიულოცა. მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფჩაძესთან ერთად საახალწლო სასაჩუქრე ამანათები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლებს გადასცა, შობა-ახალი წელი მიულოცა და წარმატებებული საქმიანობა უსურვა.

„დიდი პატივისცემით გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას, განსაკუთრებით თქვენ, რომლებიც 24 საათის განმავლობაში, დაუღალავი შრომითა და პასუხისმგებლობით ასრულებეთ საკუთარ მოვალეობებს, ზრუნავთ ჩვენი თანამოქალაქეების სიმშვიდესა და უსაფრთხოებაზე. მადლობა თანადგომისთვის“- განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ.

თანადგომა მარტოხელა მშობლებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, მარტოხელა მშობლებს საახალწლო ამანათები გადასცა და შობა -ახალი წელი მიულოცა.

სოციალურ აქციაში, მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა დიანა ფოცხვერაშვილმა, ადმინისტრაციული ერთეულების დეპუტატებმა და მერის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საახალწლო ამანათი, მერიის სოციალური სამსახურის ორგანიზებით, 70 -მდე მარტოხელა მშობელმა მიიღო.

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საახალწლო ქველმოქმედება თერჯოლაში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ მონაწილეობა მიიღო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო ღონისძიებაში, რომლის ფარგლებშიც ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტის წარმომადგენლები სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს ესტუმრნენ და მათთვის შეძენილი საჩუქრები გადასცეს.

სტუმრად „საპოვნელას“ აღსაზრდელებთან

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრ „საპოვნელას“ ღონისძიებას დაესწრო.

მანუჩარ რობაქიძემ ცენტრის აღსაზრდელებს შობა-ახალი წელი მიულოცა და ცენტრთან შემდგომ თანამშრომლობაზე ისაუბრა.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით, მხარდაჭერას გამოვხატავ დღის ცენტრის თითოეული წევრის მიმართ. ჩვენ მზად ვართ ერთობლივი ძალისხმევით განვახორციელოთ ყველა არსებული პროექტი, შევქნათ თანასწორი გარემო, მათი უფლებებისა და საჭიროების დასაცავად“, - განაცხადა თერჯოლის მერმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრების პროგრამის კოორდინატორმა სოფიო კუპატაძემ წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ცენტრის აღსაზრდელებმა საახალწლო თემაზე მომზადებული ნომრები წარადგინეს.

ღონისძიებას, ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე საგანმანათლებლო და სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბედნიერება... „მრავალი შვილის პატრონსა“...

...„ღმერთი ულეწავს კალოსაო“, უთქვამს ჩვენს გონიერ წინაპარს და ამაში ნამდვილად არის ჭეშმარიტების მარცვალი, რომ არა ღმერთის დახმარება ჩვენი ჭკვიანი წინაპრები ვერც მრავალშვილიანობის და ვერც მამულის დაცვის საამაყო ტრადიციას დაამკვიდრებდნენ და მეორეც, ამ სიტყვებს ერთგვარი იმედისმომცემი ძალა ჰქონდა ოჯახისათვის, მრავალშვილიანობის შემთხვევაში, ღმერთის თანადგომისა და დახმარებისა.

ოჯახს, მის ოთხ შვილს, რომელიც ახლახანს გავიცანი უფალი ნამდვილად არ დააკლებს თავის მადლსა და შემწეობას, რადგან მათ მართლაც ძალიან, ძალიან სჭირდება თანადგომა უფლისაც და ყველა კეთილი ადამიანისა...

ორიოდე თვის წინ გზაზე გამვლელი მანქანის მოლოდინში ჩემთვის უცნობმა ახალგაზრდამ მანქანა გამიჩერა, სადაც საოცარი სურათი დამხვდა. დედასთან ერთად მანქანაში ოთხმა ულამაზესმა მცირეწლოვანმა გოგო-ბიჭებმა ლამაზი თვალები ცნობისმოყვარეობით მომაპყრო და გამიღიმა...

მათ შორის ყველაზე პატარა, რომელსაც დედის ძუძუსთვის პირი არ გაუშვია, ცალი თვალით ჩემთვის მზერა არ მოუშორებია. ეს „სურათი“ ნამდვილი სიურპრიზი იყო. ასეთი სილამაზე-სანახაობით დაიწყო ის ერთი სამუშაო დღის დილა. ბუნებრივია, დავინტერესდი მათი ვინაობით და რომ გამეგო მათზე უფრო მეტი ახალი წლის წინა დღეებში სახლში მივაკითხე.

მიხარია, რომ მაქვს საშუალება ჩვენს მკითხველებს გავაცნო ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ანზორ კობახიძისა და ანა სარალიძის მრავალშვილიანი ოჯახი. ისე როგორც ყველა მრავალშვილიან ოჯახში, აქაც, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, უფლის წყალობა, სიხარული და ბედნიერება დავანებულა, სადაც ყველაზე ნათლად შეიგრძნობს ადამიანი სიცოცხლის არსსა და მარადიულობას...

ანზორი და ანა ოთხი ულამაზესი ბავშვის მშობლები არიან: ორი ბიჭი და ორი გოგონა ჰქმნიან იმ სიმდიდრეს, რომელიც მხოლოდ მათი კი არა სრულიად საქართველოს სიხარული და სიმდიდრეა, რომელსაც ვერაფერი სახლე და თუნდაც ქარვასლა ვერ გადაწონის. ერთი შეხედვით ძალიან ჭკვიანი, საყვარელი და გონიერი ბავშვები არიან. თითოეული მათგანი უკვე თითქმის ჩამოყალიბებული პიროვნებაა და ასაკის გათვალისწინებით სერიოზული და ადვილად საკონტაქტო. თითოეულმა მშობლების გარეშე ისე წარმომიდგინა თავისი თავი, რომ არ მოველოდი: „მე უფროსი ვარ, 8 წლის, ნიკა მქვია, ვსწავლობ თერჯოლის მეორე საჯარო სკოლაში, მესამე კლასში ვარ. მიყვარს ფეხბურთი და „საპოვნელას“ გუნდში დიმა მასწავლებელთან დავდივარ. ხატვაც მიყვარს, თავისუფალ დროს ვხატავ. მე მეორე ვარ, თეკლა, 6 წლის, პირველკლასელი, მომწონს სკოლა, მიყვარს ჩემი მასწავლებლები. მე მესამე ვარ სამი წლის ლიზი კობახიძეო, ბაღში დავდივარო, ლამაზმა გოგომ ლამაზად შემომანათა თვალები. მეოთხე აქეთ-იქით ყველაფერს ინტერესით აკვირდება და სწრაფად და გააზრებულად მიდი-მოდის 1 წლის და 4 თვის სანდრო დედამ გამაცნო და ისიც გავიგე, რომ ძუძუს წოვას ახლახანს გაანებებინეს თავი.

ანზორ კობახიძე მეუღლესთან ერთად ტელეფაში მშობლების სახლში ცხოვრობდა, იქ შეეძინა შვილებიც. შემდეგ მოხდა ისე, რომ მას ცოლშვილთან ერთად მშობლიური მამისეული სახლიდან წამოსვლამ მოუწია. დიდი ხანი არ არის რაც თერჯოლაში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (ძოწენიძეების უბანში) გადმოვიდა, აქ აქვს სამოსახლო ნაკვეთი, სადაც პატარა ქოხი უდგას, თუმცა იქ ოჯახის, მითუმეტეს ბავშვებით ცხოვრება შეუძლებელია, ამიტომ იქვე ახლოს დაქირავებულ სახლში ცხოვრობენ.

ოჯახს ბოდიშს მოვუხდი და მცირე გადახვევას გავაკეთებ: ანზორის და ანას ოჯახი, ისე როგორც ჩვენს ირგვლივ მყოფი ოჯახების გარკვეული ნაწილი ხელმოკლედ ცხოვრობს. უფრო მეტიც, რომ არა სახელმწიფო სოციალური დახმარება, ალბათ ბავშვები და მშობლებიც შიმშილისათვის იქნებოდნენ განწირულნი. ექვსსულიანი ოჯახის, მათ შორის ოთხი ბავშვის კვება, ჩაცმა-დახურვა, დროდადრო მედიკამენტები, სასკოლო საჭიროებები და ასე შემდეგ აღარაფერს ვამბობ ტკბილეულსა და სათამაშოებზე, რომელიც პატარებისათვის აუცილებელი მოთხოვნილებაა, გაცილებით მეტი ჯდება, ვიდრე შემოსავალია.

ჩემი აზრით, მრავალშვილიან ოჯახებს სხვა წესი და რიგი აქვს, სხვა მორალი და ზნეობა. ტყუილად ხომ არ უთქვამს ჩვენს გონიერ წინაპარს: „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“... და კიდევ: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“, ნორჩი კობახიძეები სწორედ ამ სიბრძნით გაიზრდებიან: შრომისმოყვარენი, ურთიერთმოყვარულნი და ურთიერთთანადგომნი.

ცოლ-ქმარი ურთიერთთანადგომით ახერხებენ ბავშვების მოვლას. ძალიან ძნელია ოთხი სხვადასხვა ასაკის ბავშვის გაწვდომა საუზმეს, სადილ-ვახშამსა და გარეცხვა-დასუფთავებას თავი რომ დავანებოთ, ყოველი მათგანის ბავშვური საფიქრალი და სიხარული უნდა გაიზიარო, სკოლასა და ბაღში თუ სავარჯიშოდ უნდა წაიყვან-წამოიყვანო, ერთი აუცილებლად პატარასთან ერთად სახლში უნდა იყოს, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს სწავლაშიც დახმარება სჭირდება... ერთი სიტყვით მშობლები დასაქმებული არ არიან, რაც მათ მატერიალურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა, თუმცა ორივე მათგანის ძალისხმევა ახლა ჯერ კიდევ პატარა ბავშვების გაზრდას ხმარდება.

დიდი, ძალიან დიდი გარჯა და ენერგიას სჭირდება დედას, თავისი ადგილი და ფუნქციები აქვს მამასაც. ორივეს ერთად—დიდი პასუხისმგებლობა. ამ ეტაპზე ბავშვების ჯანმრთელობა, მათი საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა, სასკოლო ცხოვრებაში ხელშეწყობა, ჯანსაღ გარემოში მათი ჯანსაღი აღზრდაა უმთავრესი საზრუნავთა საზრუნავი. ბავშვობის ყოველი დღე ხომ მათი მომავალი ცხოვრების საფუძველ-საყრდენია...

დრო ჩქარა გარბის, ბავშვები სწრაფად იზრდებიან, ანა ფიქრობს ჭრა-კერვა შეისწავლოს და ამ საქმიანობით ოჯახში გარკვეული შემოსავალი გაიჩინოს, ანზორი ჯანიანი ვაჟკაცია და ყველანაირ სამუშაოს მოკიდებს ხელს... ოჯახი უსათუოდ გაძლიერდება მატერიალურადაც. თუმცა დღესდღეობით მათ ხელის შეშველება ნამდვილად სჭირდება. ექვსსულიანმა ოჯახმა, 4 მცირეწლოვანი ბავშვით, რომლის შემოსავალი მხოლოდ და მხოლოდ სოციალური დახმარებაა ძნელად წარმოსადგენია სახლის ასაშენებელი რესურსი დააგროვოს. ის კი არა როგორც ამბობენ, რომ არა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარება იმ ბინის ქირის გადახდასაც ვერ შეძლებენ, რომელშიც ცხოვრობენ, მერია გვერდით უდგას დღემდე იქედან მოყოლებული, რაც თავიანთი სახლიდან წამოვიდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში გარკვეულ დახმარებას უწევს, რისთვისაც უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის და მისი გუნდის მისამართით. ახლაც იმ იმედით არიან, რომ სამთავრობო კომისია გაითვალისწინებს ამ ოჯახის ხელმოკლეობას, მისი მცირეწლოვანი შვილების საჭიროებას საკუთარი ჭერქვეშ ცხოვრების აუცილებლობას და იმ პროექტის სიაში მოხვდებიან, რომელიც მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ბინათმშენებლობას და ხელმოკლე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახისათვის გადაცემას ითვალისწინებს.

ახლა ესაა ამ ოჯახის ყველაზე დიდი სურვილი და ოცნება, რომელიც ახალი წლის ღამეს ჩაიფიქრეს.

მანამდე კი... მანამდე სხვის ჭერქვეშ შეხვდა ახალ წელს ანზორ კობახიძის მრავალშვილიანი ოჯახი. ჰქონდათ მოკრძალებულად მორთული ბრჭყვიალა ნაძვის ხე, ტკბილეული, სხვა პროდუქტები... და ჰქონდათ უმთავრესი სილამაზე სიყვარული და მხიარულება, პატარების ჟივილ-ხივილი, რომელსაც ქვეყნად ვერანაირი მდიდრული მაგიდა და სიმდიდრე ვერ გადაწონის.

და ჰქონდათ იმედი უფლის, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოსი, კეთილი ადამიანების, რომ ახალი წელი აუცილებლად მოუტანს ოჯახს ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და იმ სანუკვარი ოცნების ახდენას, რომელიც მათთვის ახლა უმთავრესია.

ფეხბედნიერი და სურვილების ახდენის იყოს, ახალი, 2026 წელი ანზორ კობახიძის ოჯახისათვის...

მეშვიდე ბიჭი და... გამრავლება გოგომდე

ახალი სიცოცხლის დაბადება ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ამბავია, თუმცა გაათმაგებით სასიხარულოა წინასაახალწლო დღეებში, როცა ძველ წელს ვისტუმრებთ და ახალს იმედითა და მონატრებით ველოდებით...

დიახ, შობისა და ახალი წლის მოლოდინში უფლისაგან იმაზე უკეთეს საჩუქარს ვერავინ ინატრებდა, როგორც ძევრელ ბაჩუკი იამანიძისა და ნანა ჩაბრაძის ულამაზეს ოჯახს ხვდა წილად. მათ მრავალშვილიან ოჯახს კიდევ ერთი იოანე შეემატა. იოანე მეშვიდე ბიჭია...

ღმერთმა დალოცოს და ადღეგრძელოს ეს ოჯახი, ჯანმრთელობა და ბედნიერი მომავალი ახალშობილსა და მის უფროს ძმებს, ასევე მათ მშობლებს.

ვულოცავთ ოჯახს, მივულოცავთ სოფელ ძევრს... ძევრში უსათუოდ სამშობლოს ღირსეული შვილები, პატრიოტები და ტრადიციების დამცველები აღიზრდებიან, აქ ამის ყველა პირობაა, ლეგენდარული სოფელი, მისი ისტორია და გმირული შემართების ვაჟკაცები, სკოლის საუკეთესო აღმზრდელები იძლევიან ამის მაგალითსა და წინაპირობას.

ბაჩუკი იამანიძეს კიდევ ერთი სურვილი აქვს: ერთი გოგონაც შვიდი ვაჟის გვერდით...

იამანიძეები კიდევ გამრავლდებიან, გოგომდე, ამბობს მამა.

შობა-ახალ წელს ვულოცავთ ოჯახს და კიდევ ბევრი ლამაზი ოცნების ახდენას.

გვერდის ავტორი
მზია ცქიფურიშვილი

ჩვენებურის აღიარება...

იცნობდეთ, ეს ნიკა თარგალაძეა— რადიაციული ონკოლოგი

იმედი, სიხარული და სიამაყე ერთდროულად გეუფლება, როცა აღმოაჩენ, რომ ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობს ახალგაზრდა, რომელსაც შესწევს ძალა, ცოდნა და უნარი თავისი წვლილი შეიტანოს მძიმე ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლაში, ორმაგია ეს სიხარული, როცა გაიგებ, რომ ეს ახალგაზრდა თერჯოლელია.

რამდენიმე თვის წინ სოცქსელში კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნული ცენტრის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტი დაინტერესებულ ადამიანებს ანუ ონკოპაციენტებს იმედისმომცემ ინფორმაციას აწვდიდა: **„ჩვენს გუნდს შემოუერთდა რადიაციული ონკოლოგი ნიკა თარგალაძე—სპეციალისტი, რომლის საქმიანობა აერთიანებს როგორც კლინიკურ პრაქტიკას, ისე აქტიურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულებებს.**

რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და ტრენინგებში, მათ შორის BEST OT AS TBO, WSMO, Varive Training da Worthuestern University Observership—პროგრამებში, რაც ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებასა და თანამედროვე მიდგომების დანერგვას კლინიკურ პრაქტიკაში.

ქირურგიის ეროვნული ცენტრი ონკოლოგიური სერვისების სრულ სპექტრს უზრუნველყოფს—დიაგნოსტიკიდან მკურნალობამდე—საერთაშორისო სტანდარტების დაცვითა და უახლოესი ტექნოლოგიების გამოყენებით“.



დიახ, ეს ნდობა და ფაქტიურად აღიარება ნიკა თარგალაძემ დაიმსახურა თავდადებული სწავლითა და შრომით, რომელსაც სტუდენტობიდან, უფრო სწორად მოსწავლეობიდან მოყოლებული ეწეოდა და ასე გრძელდება დღემდე.

ნიკა თარგალაძე ზედა საზანოში დაიბადა 1996 წელს, აქვე წარჩინებით დაამთავრა ზედა საზანოს საჯარო სკოლა.

მშობლები: დედა ლია ზარნაძე, უმაღლესი განათლებითაა, მუშაობს ზედა საზანოს საბავშვო ბაღში მუსიკის მასწავლებლად. მამა ზვიად თარგალაძე, განათლებით ინჟინერია, ზედა საზანოს საჯარო სკოლის თანამშრომელია. ბებია გულო ყიფშიძე, პენსიონერია, წლების განმავლობაში იყო ქ. თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტი. და ანა თარგალაძე წარჩინებული მოსწავლე და ეტალონის გამარჯვებულია, დამთავრებული აქვს ზედა საზანოს საჯარო სკოლა, შემდეგ თავისუფალი უნივერსიტეტი, ამჟამად დაოჯახებულია გიორგი ქავთარაძეზე, ჰყავს ერთი შვილი თომა. ნიკა რამდენიმე თვის წინ დაქორწინდა ქუთაისელ ანი მამრიკიშვილზე, ანი უმაღლესი იურიდიული განათლებითაა.

ნიკა თარგალაძე 2014-2020 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და არის დიპლომირებული მედიკოსი. გავლილი აქვს აგრეთვე რადიაციული ონკოლოგიის რეზიდენტურა კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრში 2021-2025 წწ. სამედიცინო ფიზიკის მაგისტრატურა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2023-2025 წწ.

სტუდენტობიდან მოყოლებული დღემდე მრავალი საერთაშორისო კონფერენციის, სამეცნიერო კონგრესის, ტრენინგისა და სემინარის მონაწილე თუ ორგანიზატორი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ: ჩიკაგო, საუდის არაბეთი, შვეიცარია, დუბაი, პოლონეთი და ა.შ. არის აგრეთვე მრავალი სამედიცინო სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. როგორც მოწვეული ლექტორი ეწევა საგანმანათლებლო მუშაობას სხვადასხვა უნივერსიტეტში.

უაღრესად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი აქტივობითაა დატვირთული ნიკა თარგალაძის მიერ სამედიცინო მეცნიერებისაკენ მიმავალი გზა, შეუძლებელია ყველაფერი ჩამოვთვალოთ, ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ერისთავის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი მასზე დიდ იმედებს ამყარებდეს.

„თერჯოლა“ მიესალმება ყველა თერჯოლელის წარმატებას და რაღა თქმა უნდა, მივესალმებით ნიკა თარგალაძის მიერ მედიცინაში, როგორც კლინიკურ პრაქტიკაში, ისე სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულებით გადადგმულ მყარ ნაბიჯებს. პასუხისმგებლიანი, ზნეკეთილი, პროფესიონალი ახალგაზრდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა სფეროში და მითუმეტეს მედიცინაში.

ნიკა ჯერ მხოლოდ 29 წლისაა. წინ კი ძალიან დიდი გზა და მომავალია, იმედია მისი ბიოგრაფია უამრავი სასიხარულო ფაქტით და ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვაში საინტერესო მიღწევებით დაიტვირთება და ამაში თავის სიტყვას იტყვის.

„თერჯოლა“ წარმატებებს უსურვებს რადიაციულ ონკოლოგს ნიკა თარგალაძეს მის პროფესიულ საქმიანობაში, შობა ახალ-წელს ვულოცავთ მის ახალშექმნილ ოჯახს, ვუსურვებთ გამრავლებასა და კეთილდღეობას.

მრავალჟამიერ!

მზია ცქიფურიშვილი

ინეზა ფანჩულიძე—75

„ძვირფასო ქალბატონო, გილოცავთ ღირსეულ საიუბილეო თარიღს. 75-ი ეს არის ასაკი, რომელიც გამოცდილებას, სითბოს და სიცოცხლის მარადიულ ღირებულებებს აერთიანებს.

ჩვენთვის დიდი პატივია მოგესალმოთ, მოგილოცოთ და გისურვოთ მტკიცე ჯანმრთელობა, უშრეტი, ხანგრძლივი ენერგია და ბედნიერებით სავსე დღეები... თქვენ ამას ნამდვილად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, იმსახურებთ.

უკიდეგანოა თქვენი სიყვარული და პასუხისმგებლობა ჩვენი აღსაზრდელი პატარების მიმართ, რომელთა მსახურებაში ათეულობით წლები გამოგივლიათ.

თქვენ ბრძანდებით გამორჩეული ხელმძღვანელი, თბილი და კეთილგანწყობილი თანამშრომლების მიმართ, რაც გამოიხატება ყოველდღიურ ურთიერთობაში, სიყვარულში, თანადგომაში და ხშირად სიურპრიზებშიც.

დიდხანს სიცოცხლე და წარმატებული საქმიანობა გვისურვებია“.

ამ მისალოც წერილთან ერთად ქ. თერჯოლის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდიან ქალბატონი ინეზა ფანჩულიძის ცხოვრებიდან.

ინეზა ყაფლანის ასული ფანჩულიძე დაიბადა 1950 წლის 25 დეკემბერს ძევრში, მოსამსახურის ოჯახში. 1967 წელს დაამთავრა ჩხარის საშუალო სკოლა წარჩინებით, იმავე წელს მუშაობა დაიწყო ძევრის ინვალიდთა სახლ-ინტერნატში ტექნიკურ მუშაკად. 1969 წელს ჩაირიცხა ქ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლებისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1976 წელს დაინიშნა ქ. თერჯოლის №2 ბაგა-ბაღის აღმზრდელად, შემდეგ გამგედ. 1985-95 წლებში მუშაობდა თერჯოლის განათლების განყოფილების ბაგა-ბაღების ინსტრუქტორად. 1995 წლიდან დღემდე მუშაობს №1 ბაგა-ბაღის გამგედ. ჰყავს მეუღლე, როლანდ ფორჩხიძე, შვილები ნიკა და ეკა. ორივე მათგანმა წარჩინებით დაამთავრეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მუშაობენ თბილისში აპექს დეველოპმენტში.

ინეზასა და როლანდის ოჯახს სიძისა და რძლის სახით შემოუერთდნენ ირაკლი სუთიძე და მარიამ კაკაბაძე, ოჯახის ბედნიერებას შვილიშვილები ეკატერინე, კესო, თამარი, გიორგი და სანდრო შემოემატნენ...

თითოეული მათგანის მილოცვა იუბილარი ქალბატონისათვის ნამდვილ დღესასწაულთან და უსაზღვრო სიხარულის განცდასთან ასოცირდება...

„თერჯოლა“ უერთდება თანამშრომლების, შვილების, შვილიშვილების, ახლობლებისა და მეგობრების მილოცვას. ღვაწლმოსილ ქალბატონს დაბადების დღესთან ერთად ვულოცავთ შობასა და ახალ წელს საუკეთესო სურვილებით.

ქალბატონ მზია აბულაძეს



ამ დღეებში ვნახეთ თქვენი ლექსების პირველი კრებული, რომლისთვისაც „მზიან დღეთა ლოდინში“ დაგირქმევიათ. შესავალ წინასიტყვაობაში წერია: „მოლოდინი ამ პოეტურ თხზულებათა ძირითადი თემაა, მოლოდინი უკეთესობისა, როგორც ქვეყნისთვის, ისე ადამიანისთვის. ავტორი ბევრ პიროვნებას უძღვნის ლექსსა და მათში ამხელს თავის დამოკიდებულებას. უსურვებს მამულის უკეთეს ყოფას, ჯანისა და სულის სიმრთელეს.

წაიკითხავთ ამ პოეტურ თხზულებებს და წარმოგიდგებათ ადამიანი, რომელიც ხან ბედს უჩივის, ხან საკუთარ თავს, მაგრამ საბოლოოდ მაინც იმედითა და რწმენით აგრძელებს სტუმრობას წუთისოფელში“...

ღმერთმა იმედი და რწმენა ნუ მოგიშალოთ ქალბატონო მზია, გულით გილოცავთ თქვენი ნააზრევ-ნაფიქრალის წიგნად დაბადებას, ამასთან შობა-ახალ წელს გილოცავთ და გისურვებთ ყველა ოცნების ასრულებას, ჯანმრთელობას და მხნეობას.

სიყვარულით და პატივისცემით, თქვენი მეგობრები
გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციიდან

მევენახე და მყნობელი— „შორსმჭვრეტელი და დაკვირვებული“

რეპორტაჟი

მიუხედავად იმისა, რომ ოდნავ შემცირდა ვენახების რაოდენობა, თერჯოლა მაინც რჩება მევენახეობა-მეღვინეობის რაიონად. აქ კვლავ შენდება ვენახები და ძირითადად ტრადიციული ჯიშები: ციცქა, ცოლიკაური, ოცხანური, კრახუნა... რაც ნაწილობრივ დასტურდება ერთი რუფოთელი კაცის ნათქვამით, რომ ის ყოველწლიურად 20 ათას ძირ ვენახს ამყნობს, ამოაქვს 10 ათასი ძირი ვენახი და ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტო-სექტემბერში, ვენახის რგვის დაწყებამდე, 7 ათასი ძირი ნერგის მყიდველის სია ჰქონდა, 20 ათასიც რომ მქონდეს გავყიდიო...

ერთი კაცისაგან, ცნობილ მევენახე-მყნობელისაგან თემურ ბარბაქაძისაგან, ეს არ არის ცოტა, მართალია ყველა თერჯოლაში არ იყიდება, მაგრამ იმერეთში, გნებავთ საქართველოს სხვა რეგიონებში ხომ იყიდება. ვენახსყურძნის მომსხმელ ხეს—ყოველთვის ჰქონდა უდიდესი ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა. საქართველოს მტრები ვენახების განადგურებასაც კი მიმართავდნენ ბრძოლის დროს, რათა ჩაეხშოთ ქართველის ეროვნული ღირსება.

„სოფლის მეურნეობის ამ უმაღლეს დარგს 380 გვერდი დაუთმო ივანე ჯავახიშვილმაო“—მითხრა თემურმა და მიმახვედრა, რომ წაკითხული აქვს მისი მე-5 ტომი. მეც „წავიტრაბახე,“ ჯავახიშვილი იმასაც წერს, რომ „მისი წესიერი და ნაყოფიერი წარმოებისათვის განსაკუთრებული ცოდნაც არის საჭირო და დიდი დაკვირვებისა და შორსმჭვრეტელობის ნიჭი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამ რთული საქმის პირნათლად გაძღოლა შეძლოსო“.

ასე იყო თუ ისე შევხვდით და შევხმატკბილდით, რადგან წყენამ, რაც მისი ღვინის „შვლაპ“ და „ნაქაჩად“ მოხსენიებას მოჰყვა, გაიარა და ისე დავმეგობრდით, რუფოთშიც კი მიმიპატიჟა „ვინც გინდა წამოიყვანეო“.

გავარკვიოთ—არის თუ არა თემურ ბარბაქაძე „შორსმჭვრეტელი და დაკვირვებული“, როგორია მისი შრომა-საქმიანობა და რა შედეგი მოაქვს ამ შრომას.

წინაპართა წინაპრები

თემურის წინაპრები: ალექსი, როსტომი, მინაგო, გრიშა, ჟორა მევენახეობას მისდევდნენ. დიდი რაოდენობის ყურძენი მოჰყავდათ, მიჰყიდდნენ სახელმწიფოს და იტოვებდნენ ოჯახში. გამართულად ცხოვრობდნენ, შრომისმოყვარეობა თემურს მათგან გამოჰყვა, ოჯახის ყველა წევრი შრომობს, თემურის მეუღლე შორენა ფანჩულიძე, რძალი მაკა ჯანელიძეც კი, რომელიც ჯერჯერობით ორ შვილს—უღელ ბიჭებს სანდროს და გაბრიელს ზრდის. თემურმა ოჯახში „დაიბრუნა“ თბილისში წასული შვილი გიორგი და ცხოვრობენ ერთ ოჯახად, ერთ სახლში და როგორც თავად ამბობს მომავალშიც ყველანი ერთ დიდ ოჯახად იცხოვრებენ. გათხოვილი შვილი ნათია, სიძე მალხაზ არაბიძე, შვილიშვილები: ანანო, ტასო, ალექსი, სანდრო, გაბრიელი შორენასა და თემურის სიამაყეა.

* * *

4 ათასი ძირი სრულმსხმოიარე ვენახი აქვს თემურს, სულ ახალშენი. ყველაზე „ძველი“ 30 წლისაა. მოჰყავს 12 ტონა ყურძენი, ძირითადად ყიდის, 3 ტონას წურავს და საუკეთესო ხარისხის ღვინოს აყენებს, პირველად ჭურებში, ღია ჭურისთავზე და შემდეგ გადააქვს ე.წ. „ნერჟავეიკის“ ჭურჭელში, გადაღებულ-გაკრიალებულ ღვინოს მარანში ინახავს, ხანდახან ყიდის კიდეც, „დიდი ხარჯი მაქვსო“ და მაინცდამაინც ღვინის გაყიდვით არ არის დაინტერესებული. მყიდველი კი ბევრი ჰყავს—ძირითადად ტურისტები. ფრანგი კლიენტი, რომელსაც საუკეთესო მარანი და ყველა საჭირო მოწყობილობა ჰქონია იგოეთში, ყოველწლიურად დიდი რაოდენობის ყურძენს ყიდულობს თემურისაგან. შეკვეთები აქვს თბილისიდან, ქუთაისიდან, სოჩიდან...

თემურ ბარბაქაძე ახალი ვენახების გაშენებას გეგმავს. „მჭირდება, მალე შვილიშვილი შემეძინება, ისიც ბიჭი იქნება, სანამ შემიძლია გავაშენებ ვენახებს, შევაყვარებ მუშაობას, აღარსად წავლენ და ძლიერი ოჯახი მეყოლებაო“.

უყვართ ოჯახში მამა-პაპისეული ჭურისთავი და ჭურები: 100, 90, 80, 70, 60 ფუთიანები და პატარებიც, 1 ფუთიანიც კი, კარგად გარეცხილი, გამოსანთლული ჭურები კარგ ღვინოს აყენებსო და დგება ღვინო „კეთილი და კარგი“, „მხნე-გემოიანი“, „მსუბუქი და შემრგო“.

როგორ უვლის 4 ათას ძირ ვენახს ისე, რომ არახელსაყრელი კლიმატური პირობებიც ვერაფერს აკლებს თემურის ვენახებს! წამლავს ძვირადღირებული პრეპარატებით, კირს და შაბიაბანს ანიჭებს უპირატესობას, კვალიფიციური სპეციალისტებისაგან იღებს რჩევებს და ზედმიწევნით იცავს ვენახში ჩასატარებელ ყველა ოპერაციას. წამლავს ზურგის აპარატით 12-13 ჯერ, პირველ წამლობაზე 150-200, ბოლო წამლობაზე 1500 ლიტრი ხსნარი სჭირდება.

„სხვა ხე სხვაზე შეზარდო“

ასე განმარტავს სულხანსაბა მყნობას. მეპიტონიკეობას თემურის წინაპართაგან არავინ მისდევდა. ეს საქმე თემურმა წამოიწყო. ვენახის ნერგის გამოყვანა თემურისათვის არ არის მარტო შემოსავლის წყარო, ყოველწლიურად 10 000 ძირი ნერგი ამოაქვს და როგორც თვითონ თქვა, 20 ათასიც რომ აწარმოოს გაიყიდება და უხარია, რომ ვენახები შენდება.

საძირე ბოლნისიდან შემოაქვს. 20 ათასი ძირი სათბურში გააქვს და როცა ყლორტი 3-5 სმ გახდება, ნიადაგში გადააქვს, მყნობის პროცესს მამა-შვილი აწარმოებს, ქალბატონი შორენა პარაფინში ავლებს, ეს „შეხვევის“ პროცესია, რძალიც ძალიან აქტიურობს, გვეხმარება, შვილებს უვლის, ერთსულოვნები ვართ და ერთად ვუმკლავდებით მევენახეობა-მეპიტონიკეობის რთულ, მომგებიან და საჭირო საქმესო—ამბობს თემური და რადგან დარწმუნებულია თავისი გამოყვანილი ვენახის ნერგის ხარისხში, მყიდველს მარტო რჩევა-დარიგებას კი არ აძლევს, თავისი 10 კაციანი ბრიგადით თვითონ ურგავს, კარგმა ნერგმა კარგად უნდა იხაროსო.

ოჯახს აქვს 3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. მოჰყავთ ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ჰყავთ „უთვალავი“ ფრინველი და მსხვილფეხა საქონელი. საამო სანახავია მისი გლეხური მეურნეობა. ოჯახის საქმიანობით დაინტერესებულა პოლონური პრესა, გაზეთი „კვირის პალიტრა“. მონაწილეობდა „თერჯოლობის“ ზეიმზე, სიამოვნებით აგემოვნებდნენ თურმე ოჯახურ პირობებში ჩამოსხმულ ოცხანურს.

* * *

რედაქციაში მეუღლესთან ერთად მოვიდა. სასიამოვნო მოსაუბრეა ქალბატონი შორენა, მშრომელი, ოჯახის ერთგული და მოყვარული. კი, ყველა შრომობს, მაგრამ მაინც როგორ ართმევენ თავს ამდენ საქმეს-თქვა, ნაფიქრი ხმამაღლა წამომცდა. „ქალის ფერებას თავი დავანებე და ვართმევო“, იხუმრა (მსგავს ნათქვამს „შაყირს“ ეძახიან) მისი გაგებით, მე რისი მპატიებელი ვიყავი და არც დავფიქრებულვარ ისე ვუპასუხე—ჯობდა ვენახისათვის დაგენებებინა თავითქვა და შორენას მხარდაჭერა ვიგრძენი.

თემურმა ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის დახმარებას. რაც ვთხოვე მომიგვარაო, რაღაც-რაღაცეები მჭირდება, მეპიტონიკეობა უნდა გავაფართოვო, მირჩიე რა ვქნაო. მე რა გირჩიო, ჩემი გაჭირვება მეყოფა-თქვა და საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. შენზე წერილი საახალწლო ნომერში იქნებათქვა, დავაწიე სიტყვა კიბეზე ჩამავალს.



კარგი კაცია თემურ ბარბაქაძე, კარგი ოჯახის პატრონი, კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა, კარგი მეურნე, მევენახე-მეპიტონიკე, სტუმართმოყვარე, საძმო-სამეგობროდ დაბადებული...

ასე, სულ კარგი და კარგი მემეტება მისთვის.

ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავიგეთ თემურს კიდევ ერთი შვილიშვილი—ლუკა შეეძინა. ვულოცავთ.

ახალ, 2026 წელს მრავალი სიხარული და ბედნიერება მოეტანოს თქვენი ოჯახისათვის.

ჟუჟუნა ცხადაძე

მთავარანგელოზთა—მიქაელისა და გაბრიელის სახელობისა...

ერთ-ერთი წყაროს ცნობით, სოფელ ზედა საზანოში ცხრა ეკლესიიდან, რომელთა მშენებლობა 1780-1851 წწ თარიღდება, ექვსი მთავარანგელოზის სახელობისაა. ამჟამად სოფელში მოქმედია სამი ეკლესია—ღვთისმშობლის მიძინების, სამჯვარის—წმინდა გიორგის და მთავარანგელოზთა სახელობის.

მთავარანგელოზობამდე (აღინიშნა 21 ნოემბერს) რამდენიმე დღით ადრე დამთავრდა, ყველაზე ძველი, მე-18 ს. მეორე ნახევარში აშენებული მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძრის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

2025 წლის 10 ნოემბერი გამორჩეულ დღედ დარჩება საზანოს ისტორიაში, ერსა და ბერში, რადგან მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძრიდან სადღესასწაულო ზარის ხმა გაისმა...

სოფლის მკვიდრის, მორწმუნე, საქმეზე, სოფელზე შეყვარებული კაცის—შოთა გიორგაძის თქმით—ტაძარს საინტერესო ისტორია აქვს, იგი ყველაზე ძველი ეკლესიაა და გარკვეული ცნობებია შემორჩენილი, ბევრი ქარტეხილის მომსწრეა და სხვადასხვა წლებში რამდენჯერმე შეკეთებულა, მხოლოდ გარკვეულ წლებში შეუწყვეტიათ აქ წირვა-ლოცვა, დაზიანებულ ტაძრებშიც კი იკრიბებოდა ხალხი. პირველი რეკონსტრუქცია გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩატარებულა, გადაუხურავთ, რათა კედლები შენარჩუნებულიყო, კრამიტი უსასყიდლოდ მიუცია მშენებლებისთვის სოფლის მკვიდრს გივი გამეზარდაშვილს, ასე გადაურჩა ტაძარი მნიშვნელოვან დაზიანებას.

2007 წელს „ქართუ ბანკს“ ჩაუტარებია ისევ გადახურვის და სხვა სამუშაოები და ეკლესიაში შემავალ მრევლსაც გაუღია შემოწირულობები.

მნიშვნელოვანია ეს ეკლესია სოფლისათვის, განსაკუთრებით უბნისთვის და კვლავ დადგა დღის წესრიგში ეკლესიის რეკონსტრუქციის საკითხი.

რამდენიმე წლის წინ შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, გამოჩენილა სპონსორი, სოფლის მკვიდრი ბაკურ მოდებაძე, ბატონმა შოთამ მითხრა—ბაკურს არ უყვარს ბევრი ხმაური, მასზე არაფერი თქვა, ეწყინებაო. ანგარიში გავუწიე შოთას, სამართლიანი იქნებოდა ვრცლად გვესაუბრა ბაკურზე, მაგრამ ღვთიური მადლით ნაკეთებ საქმეს მართლაც არ უხდება ხმაური, არ ხმაურობს ბაკურ მოდებაძე და სწორიცაა, სოფელი მისი მადლიერია და ეს მისთვის ყველაფერია.

და ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები: კვლავ მოიხსნა სახურავი, გაკეთდა თაღოვანი გუმბათი, შენარჩუნდა ქვის იატაკი, მაგრამ აიყარა, გაიწმინდა და ხელახლა დაიგო, ჩატარდა მრავალი სახის გარე სამუშაო, ამოაშენეს საძირკველი, საყრდენი კედელი, მოეწყო გარე განათება, დამონტაჟდა ელექტროკაბელები, გაიწმინდა ეზოს ტერიტორია.

სოფლის მკვიდრმა, ამჟამად საზღვარგარეთ დროებით მცხოვრებმა ლიკა გიორგაძემ ღვთისმშობლის დიდი ხატი შესწირა ეკლესიას, ხატი ჭოგნარში აკურთხა მამა იოანემ და ახლა ამ ტაძარშია დაბრძანებული.

შოთამ გვითხრა, რომ ეკლესიის რეკონსტრუქციის სამუშაოებში აქტიურად იყო ჩართული უბნის მცხოვრებლები, ისინი მუშაობდნენ ფიზიკურად, ყველა თავის შესაძლებლობებს დებდა ამ დიდ საქმეში.

აღდგენილი ტაძრის პირველი დღე

10 ნოემბერს მრევლი დილიდან შეიკრიბა, ეკლესიის ზარების დარეკვამდე და როცა, ამ ზარებმა მოუხმო მრევლს, გაივსო ტაძარი და ეზოც... აქ იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ღამე ტაძარში და მის მიმდებარედ გაატარეს, ალაგებ-ასუფთავებდნენ ირგვლივ ყველაფერს, ცხადია აქ იყო ტაძრის წინამძღოლი, დეკანოზი დავითი (ჭანტურიძე), იგი სტუმრების მისაღებად ემზადებოდა, თითოეულ საეკლესიო ნივთს თავისი ადგილი მიუჩინა. უყვართ მამა დავითი, მოსწონთ და სჯერათ მისი, მრევლმა: ნაზი კვიჟინაძემ, გულიკო ლელაძემ, ბადრი მოდებაძემ, სიქთარვიდან სპეციალურად მოსულებმა: დავით, ლელა სირბილაძეებმა გვითხრეს, რომ მოსწონთ მამა დავითი, სჯერათ და ენდობიან, უმხელენ საიდუმლოს და მზად არიან—მიატოვონ ოჯახური საქმეები და ეკლესიას მიაშურონ, როცა მისი ზარები დარეკენ.

ტაძარში იყო 1 წლის და 7 თვის გიორგი გიორგაძე, გოჩა გიორგაძის შვილიშვილი, გოჩა ღმერთს ავედრებდა ამ პატარას და ყველას, საქართველოს მართლმადიდებელ ერს.

დილიდანვე ისმოდა მგალობელთა გუნდის საამო ხმა. ინტერესით ელოდნენ თერჯოლატყიბულის მიტროპოლიტს, 2025 წლის 18 ოქტომბრიდან თერჯოლის საპატიო მოქალაქეს, მეუფე გიორგის (შალამბერიძე), რომელიც დათქმულ დროს მობრძანდა და გაიხარა მრევლმა, მოვიდნენ რაიონში, სხვადასხვა ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირები და წირვაც დაიწყო, რომელიც მეუფემ აღავლინა. სხვადასხვა მოქმედებებში ჩართული იყო დეკანოზი დავითი (ჭანტურიძე) და სხვა სასულიერო პირები.

ღირსეული მასპინძლობა გასწია დეკანოზმა დავითმა, რომელიც 2019 წლიდან ამ ტაძრის წინამძღოლი და ტაძრის აღდგენის ინიციატორია, სიხარულით და საქმის სიყვარულით დაუდგა მას გვერდით სოსო გიორგაძე და სპონსორები, მრევლი.

* * *

მეუფემ დალოცა ერი, პატრიარქი, სამღვდელოება, შესთხოვა უფალს მშვიდობა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის შეწყალება და კეთილდღეობა, ქვეყნების დაცვა სხვადასხვა უბედურებისაგან.

მეუფე გიორგის ქადაგება, როგორც ყოველთვის გამორჩეული იყო. ეკურთხა პური და ღვინო, მრევლი ეზიარა, მიიღო წმინდა სეფისკვერი, აღევლინა ლოცვა ცოცხლებისა და გარდაცვლილების მიმართ. მთავარანგელოზი გაბრიელი ხომ არის მძლეველი ყველა მტრული ძალებისა, მფარველი ყოველგვარი უბედურებისაგან, მწუხარებისაგან და ბოროტი ცოდვებისაგან, მთავარანგელოზი მიქაელი კი სიმაგრე ღვთისა და კეთილი მაცნე ღმერთის საიდუმლოსი...

ტაძარში მოვიდნენ და წირვას დაესწრნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე, მოადგილე დავით გოგბერაშვილი, მერის წარმომადგენელი სოფელში გიორგი ჩუბინიძე.

დამთავრდა პირველი წირვა აღდგენილი ტაძრიდან. იმ რწმენით წამოვედით, რომ გუშინდელთან შედარებით დღეს უკეთესი გავხდეთ, ხვალ დღევანდელზე კარგი, რომ ვერ დაიბრუნებ ვერცერთ წუთს სიკეთის ქმნის გარეშე უქმედ ჩავლილს.

* * *

საზანოში მამა ანდრიასთან (ყიფიანი) ერთად წავედი, საინტერესო საუბარი გვქონდა, დაახლოებით ასეთი, თავის შეცნობა ჩვენში დაბრუნებული სიცრუისა და ტყუილის აღმოჩენით უნდა დავიწყოთ, დავივიწყოთ არაჭეშმარიტი, ფარისევლური, ამპარტავნება თავმდაბლობით დაიძლევა. ადამიანის ცხოვრების ინტერესი მარტო მიწიერი სურვილებით არ უნდა განისაზღვროს. სათნოებით უნდა მოვაწონოთ ღმერთს თავი და სხვა.

ტაძარს რომ მივუახლოვდით რაღაცნაირი სიმშვიდე დამეუფლა, ბედნიერების და სიხარულის განცდა. ნეტა ასეთი დღეები მრავლად გვქონდეს, ერთი ტაძარი დღეში, ვთქვი ისე, პირობითად, ოღონდაც, მაგრამ თუნდაც თვეში ერთხელ ისმოდეს ზარების რეკვა აღდგენილი ტაძრიდან—თქვა მამა ანდრიამ.

ჟუჟუნა ცხადაძე

სამადლობელი და სურვილები

თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა არის პატივი, ტვირთიც და პასუხისმგებლობაც. მთელი ცხოვრების მანძილზე სიამოვნებით ვზიდავ ამ ტვირთს და მადლობელი ვიქნები ადგილობრივი თვითმმართველი ხელისუფლების და თერჯოლელი ხალხის. ამ მაღალ წოდებას ვიღებ როგორც ავანსს და ყოველთვის ვიქნები ჩვენი მუნიციპალიტეტის სამსახურში.

დადგა 2026 წელი. ახალ წელთან შეხვედრისას ყოველთვის რაღაც უჩვეულოსა და განუმეორებლის განცდა გვეუფლება. ვფიქრობთ, რას მოგვიტანს იგი, რწმენას, სიხარულს, მშვიდობას თუ განსაცდელს.

მშვიდობა, სიკეთე, სიყვარული, კეთილდღეობა, ხვავი და ბარაქა, ჯანმრთელობა და ბედნიერება მოეტანოს ამ წელს. მადლობა ვუთხრათ უფალს იმ სიხარულისათვის, რაც განვიცადეთ, მადლობა მწუხარებისთვისაც, თუ წილად გვერგო. მშვიდობა გვქონდეს ოჯახში, სამსახურში, ყველა საქმეში, შინ და გარეთ და გულში.

ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო თერჯოლელებო და გმადლობთ.

იორამ აბულაძე,
თერჯოლის საპატიო მოქალაქე

საუკუნის სიმძიმით და სიცოცხლის წყურვილით

თითოეულს თავისი წილხვედრი სიხარული და ტკივილი ჰქონია, უშრომია, შვილ-შვილიშვილები, შვილთაშვილები გაუზრდია, სიკეთე, სიყვარული დაუთესია, სიავით არ უცხოვრია, ახლა მშვიდად, ბედნიერად ატარებენ მოხუცებულობის წლებს, ცხადია ძველებური შემართება აღარ აქვთ, მაგრამ სიცოცხლე, რომ ყველა ასაკში საამურია, ერთხმად აღიარებენ.

ახალ წელს ვულოცავთ მუნიციპალიტეტის ხანდაზმულ ადამიანებს: ახალთერჯოლელ ეკატერინე არაბიძეს, დაბადებულს 1923 წლის 20 აპრილს, საზანოელ ციცინო ცხელიშვილს, დაბადებულს 1924 წლის 5 აპრილს, საზანოელ ჟენია ჩუბინიძეს, დაბადებულს 1925 წლის 25 თებერვალს, ეწრელ ალექსანდრე გვენეტაძეს, დაბადებულს 1925 წლის 10 ოქტომბერს, საზანოელ რეზო აბესაძეს, დაბადებულს 1925 წლის 27 ნოემბერს.

ვუსურვებთ სიკეთეს, ჯანმრთელობას, სიცოცხლის ხალისს, ახლობელი ადამიანების კარგად ყოფნას.

დაელოცოთ აწი გასავლელი.

ღვაწლმოსილი აფთიაქარი

თერჯოლას ახსოვს რაიონის ერთადერთი ცენტრალური აფთიაქი და ფარმაცევტი აზა მაჩიტიძე, კვალიფიციური, გამოცდილი სპეციალისტი. 2025 წლის 1 ნოემბერს 82 წლის გახდა, აღნიშნეს ახლობლების წრეში, მიულოცეს, მოეფერნენ, საჩუქრები ცალ-ცალკე მიართვეს, ყველამ ერთად კი 82 წითელი, ხასხასა ვარდი. 2026 წლის იანვარში ერთ ადგილზე მუშაობის 60 წელი უნდა აღენიშნა, მაგრამ მოხდა ისე, რომ შვებულებაში გასვლის შემდეგ „ავერსში“ აღარ დაბრუნებულა, დატოვა საყვარელი საქმე ღირსეულად. არადა კარგი იქნებოდა—ქალი 60 წლის მუშაობის სტაჟით.

აზა მაჩიტიძე, იმ პერიოდში ვიდრე მომრავლდებოდა აფთიაქები, შესაბამისად ფარმაცევტები, იყო მრჩეველი, არა მარტო როგორც ფარმაცევტი, არამედ „მაჯის შემტყვებარი“, თუმცა თავს არასდროს აძლევდა უფლებას, ექიმის რეცეპტის გარეშე, ათასჯერაც რომ ყოფილიყო დარწმუნებული ავადმყოფობის მიზეზებზე, გაეცა თუნდაც ყოველდღიური მოხმარების, სრულიად უსაფრთხო წამლები.

აზა არის ფრთხილი, დაკვირვებული, თავისი საქმის უბადლო მცოდნე, თან კარგი მეგობარი, უღალატო, უანგარო, ოჯახისათვის არის კარგი დედა, ბებია... მისი გამოცდილების გამოყენება კიდევ შეიძლებოდა.

წარსულში ჰქონია ტკივილი, დღეს კი მისი ცხოვრება ია-ვარდებით არის მოფენილი, ბევრი რომ ინატრებს ისეთი.

ახალ წელს ვულოცავთ ცნობილ ფარმაცევტს, ასაკოვან, მაგრამ ისევ მშვენიერ ქალბატონ აზა მაჩიტიძეს. ვუსურვებთ სიკეთეს, ჰქონდეს მშვიდობა შინ, გარეთ და გულში.

მეგობრები



ზოდიაქოს რომელ ნიშნებს მოუტანს წარმატებას ახალი 2026 წელი და ვინ უნდა იფრთხილოს ცეცხლოვანი ცხენის წელიწადში

ჩინური კალენდრის მიხედვით, 2026 ცეცხლოვანი ცხენის წელიწადია. ასტროლოგების ინფორმაციით, ცხენის ენერგია ზოდიაქოს თითოეული ნიშნის წარმომადგენელს ცხოვრების ახალ გზას უხსნის და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებაში ეხმარება.

ცხენი ენერგიის, თავისუფლების, სისწრაფისა და შემოქმედებითი ძალის სიმბოლოა, ამასთან, როდესაც ამ სიმბოლოს ემატება ცეცხლის ელემენტი, ვიღებთ განსაკუთრებულად ძლიერ, აქტიურ და დინამიკურ წელს, ანუ პერიოდს, რომელიც ერთდროულად აღძრავს დიდ შესაძლებლობებს და მოითხოვს სიფრთხილეს.

თითქმის სამი ათწლეულის შემდეგ, თებერვლის მეორე ნახევარში, პლანეტა სატურნი პირველად შევა ვერძის ნიშანში, რაც ახალი ასტროლოგიური ციკლის დასაწყისს აღნიშნავს და მნიშვნელოვან ცვლილებებს მოასწავებს.

რაც შეეხება კონკრეტულ ნიშნებს ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით - ვისთვის როგორი იქნება 2026 წელი:

განსაკუთრებით წარმატებული წელი ექნებათ:

ვეფხვს – ვეფხვი და ცხენი ბუნებით თანამოაზრეები არიან - ორივეს მოსწონს რისკი, მოძრაობა და გამოწვევები. 2026 წელი ვეფხვებისთვის იქნება კარიერული წინსვლის, ახალი ლიდერული როლისა და შემოქმედებითი მიღწევების წელი. მათთვის სასურველია ყურადღება გაამახვილონ საკუთარი ენერგიის მართვაზე, რათა ზედმეტად არ გადაიტვირთონ.

ძაღლს – ძაღლი და ცხენი ქმნიან ბუნებრივ ჰარმონიას ჩინურ ასტროლოგიაში. ძაღლს ეძლევა შანსი, განიმტკიცოს ფინანსური და პირადი ურთიერთობები. 2026 წელი მათთვის იქნება სტაბილურობისა და საკუთარი ძალების აღიარების პერიოდი.

ცხვარს - ცხენის ენერგია ცხვრისთვის შეიძლება აღმოჩნდეს მოულოდნელი შთაგონების წყარო. ეს წელი ხელს შეუწყობს შემოქმედებით საქმიანობას, ხელოვნებასა და პირად განვითარებას. რბილი და მშვიდი ბუნების მქონე ცხვრებს მოუწევთ გამბედაობა, რათა გამოიყენონ მათთვის მიცემული შესაძლებლობები.

ვინ უნდა იფრთხილოს 2026 წელს:

ყველაზე რთული წელი შეიძლება ჰქონდეთ ვირთხის ნიშნის წარმომადგენლებს. ცხენი და ვირთხა ჩინურ ჰოროსკოპში ერთგვარი „მტრული წყვილია“, ისინი განსხვავდებიან ცხოვრებისეულ მიდგომაშიც - ცხენს სურს თავისუფლება და თავგადასავალი, ვირთხას კი უსაფრთხოება და სტრატეგია. ამიტომ 2026 წელს, ვირთხები უნდა მოერიდონ დაძაბულ ურთიერთობებს და ფინანსურ რისკებს.

ასევე სიფრთხილე მართებს თავად ცხენს, ანუ იმ ადამიანებს, ვინც ცხენის წელშია დაბადებული. ასეთ პერიოდში ენერგია ძლიერდება, ამასთან იზრდება კონფლიქტების, სტრესისა და მოულოდნელი სირთულეების ალბათობა. ცხენებს 2026 წელს ურჩევენ ყურადღება გაამახვილონ ჯანმრთელობაზე და მოერიდონ გადაღლას და კონფლიქტებს.

2026 როგორია თქვენი ზოდიაქოს ნიშანი 2026

ვერძი (21 მარტი -20 აპრილი)

2026 წელი ვერძებისთვის პრიორიტეტების დასახვის დროა. ასტროლოგები ზოდიაქოს აღნიშნული ნიშნის წარმომადგენლებს აფრთხილებენ, რომ თუ ისინი კვლავ თავდაუზოგავად ჩაერთვებიან მხოლოდ სამსახურში, შემოდგომაზე შეიძლება, განსაკუთრებული დაღლილობა და ჯანმრთელობის პრობლემები იგრძნონ. ვარსკვლავები მაისში მნიშვნელოვან ადამიანთან შეხვედრას გინინასწარმეტყველებენ, რომელსაც შეუძლია, თქვენი ცხოვრება სრულად შეცვალოს. ეს წელი ძალიან ბევრ ახალ შესაძლებლობას მოგიტანთ, თუმცა, უნდა გახსოვდეთ, რომ ბალანსის დაცვა აუცილებელია.

კურო (21 აპრილი - 21 მაისი)

კუროს 2026 წელი როგორც გამოწვევებს, ასევე ახალ ჰორიზონტებს მოუტანს. წლის დასაწყისში შესაძლებელია, ერთგვარმა გაურკვევლობამ და პრობლემებმა იჩინოს თავი, ამიტომ, მნიშვნელოვანია, საკუთარი სურვილები და პრინციპები კიდევ ერთხელ სრულად გაიაზროთ და დაფიქრდეთ, რას მიანიჭოთ უპირატესობა. ასტროლოგების პროგნოზით, კუროსთვის სიტუაცია ზაფხულში გამოსწორდება. მნიშვნელოვანია ასევე, ფინანსებთან დაკავშირებით დიდი ყურადღება გამოიჩინოთ, რადგანაც არამიზნობრივი ხარჯების რისკი იზრდება.

ტყუპები (22 მაისი - 21 ივნისი)

ტყუპებისთვის 2026 წელს მნიშვნელოვანია სწორი კომუნიკაცია, რაც გაუგებრობების თავიდან არიდებას ხელს შეუწყობს. როგორც ასტროლოგები ამბობენ, მარტში ფინანსური სირთულეებია მოსალოდნელი და ბიუჯეტის გადახედვა და არასაჭირო ხარჯების შემცირება მოგიწევთ, თუმცა, წლის მეორე ნახევარში ამ ნიშნის წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა, რომ ოცნებები აისრულონ და სასურველ საქმეში წარმატებას მიაღწიონ.

კირჩხიბი (22 ივნისი - 22 ივლისი)

2026 წლის პირველი ნახევარი სიმშვიდესა და ჰარმონიას ჰპირდება კირჩხიბებს. მათ ექნებათ შესაძლებლობა, არსებულ საქმეებსა და ურთიერთობებს მიჰყვნენ. თუმცა, მეორე ნახევრიდან დიდი ცვლილებები დაიწყება. ასტროლოგები მშვიდი თვეების მოსამზადებლად გამოყენებას გირჩევენ. ჯობს, სარეზერვო გეგმები შეიმუშაოთ და ასევე, ახლობლებისა და საყვარელი ადამიანებისაგან დახმარების მიღებაზე უარი არ თქვათ. წლის მეორე ნახევარში შესაძლებელია ინტრიგები და კონფლიქტები როგორც სახლში, ასევე სამსახურში. მნიშვნელოვანია, გაუგებრობები თავიდანვე მოაგვაროთ და არ გადადოთ, რითაც კრიზისის თავიდან არიდებას შეძლებთ.

ლომი (23 ივლისი - 23 აგვისტო)

2026 წელი ლომებს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების ხელახლა აღმოჩენის შესაძლებლობას მისცემს. წლის დასაწყისში ზოგიერთი გამოწვევა წარსულ შეცდომებს გაგახსენებთ და შესაძლოა, გეგმების შეცვლაც მოგიწიოთ. ცხოვრების წესს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, ჯანმრთელობას უფრო მეტი ყურადღება დაუთმეთ. პოზიტიური ცვლილებები ზაფხულსა და შემოდგომით გელით.

ქალწული (24 აგვისტო - 22 სექტემბერი)

2026 წელი სასიყვარულო სფეროში რადიკალური ცვლილებების გარეშე ჩაივლის ქალწულებისთვის. ეს კარგი დროა სამუშაოსა და ფინანსებზე ფოკუსირებისთვის. წლის დასაწყისში თქვენი შემოსავლის წყაროების გადახედვა და ახალი შემოსავლის შესაძლებლობების განხილვა მოგიწევთ და თქვენი ძალისხმევა უშედეგო ნამდვილად არ იქნება. 2026 წელი ქალწულისთვის, ძირითადად, ფინანსური შესაძლებლობების წელია. შეიძლება, დაწინაურდეთ ან ბონუსი მიიღოთ და საკუთარი ბიუჯეტი საგრძნობლად გააუმჯობესოთ.

სასწორი (23 სექტემბერი - 23 ოქტომბერი)

2026 წელს სასწორი კვლავ მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე აღმოჩნდება - რისკზე წასვლა და ახალი წამოწყების დაწყება ჯობია თუ ნაცნობ გზაზე დარჩენა. გარემოებები ცვლილებებისკენ გიბიძგებთ და ამიტომ, მოგიწევთ, კომფორტის ზონა დატოვოთ. გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმისთვის საუკეთესო დრო თებერვლის ბოლოსა და სექტემბრის ბოლოსაა. არჩევანის გაკეთება ადვილი არ იქნება, მაგრამ სასწორი ამ პერიოდში კარგ მოკავშირეებს იპოვის.

მორიელი (24 ოქტომბერი - 22 ნოემბერი)

2026 წელს მორიელისთვის პროფესიული ცხოვრება შეუფერხებლად განვითარდება. მარტოხელა მორიელებს სერიოზული პარტნიორის პოვნის შანსი აქვთ, ხოლო თუ უკვე ურთიერთობაში ხართ, გაქვთ შესაძლებლობა, თქვენი კავშირი ბევრად უფრო განამტკიცოთ და ჰარმონიული გახადოთ. ასტროლოგები გირჩევენ, რომ უნდობლობის გამოვლენით არ გადააჭარბოთ და ურთიერთობები არ დაძაბოთ. გახსნილობა და გულწრფელობა კონფლიქტებს თავიდან აგარიდებთ.

მშვილდოსანი (23 ნოემბერი - 23 დეკემბერი)

2026 წელი მშვილდოსანს თვითრეალიზაციის უამრავ შესაძლებლობას შესთავაზებს. ენერგიით, იდეებითა და მოტივაციით სავსე იქნებით. ვარსკვლავები გირჩევენ, რომ თქვენი შესაძლებლობები და უნარები სრულად გამოიყენოთ. ცეცხლოვანი ცხენის წელი საშუალებას გაძლევთ, რომ ამბიციურ გეგმებს შეეჭიდოთ, გაიღრმავოთ ცოდნა და ოცნების პროექტების განხორციელება დაიწყოთ. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ წარმატება მხოლოდ სისტემატური მუშაობითა და საქმის ბოლომდე მიყვანით მიიღწევა.

თხის რქა (22 დეკემბერი - 20 იანვარი)

2026 წელი თხის რქებისთვის, ძირითადად, წინა წლის გაგრძელება იქნება. 2025 წელს დაწყებული ყველა მნიშვნელოვანი პროექტი და ცვლილება ჩვეულებისამებრ გაგრძელდება. ვარსკვლავები თხის რქებს მოთმინებისკენ მოუწოდებენ. დიდი ალბათობით, 2026 წელს მკვეთრი ცვლილებები არ იქნება, მაგრამ სამყარო გაძლევთ შანსს, არსებული საქმეები და წარმატებები გააძლიეროთ. შესაძლოა, პერიოდული დაბრკოლებების ფონზე, თქვენი შესაძლებლობებისა და უნარების გამოცდაც მოგიწიოთ, მაგრამ შრომისმოყვარეობა და დისციპლინა ყველაფრის დაძლევაში დაგეხმარებათ.

მერწყული (21 იანვარი - 18 თებერვალი)

მერწყულებს 2026 წელს ექნებათ შანსი, თავიანთი ფინანსური მდგომარეობა გააძლიერონ, გარემოებები თქვენ მხარესაა. ვარსკვლავები გირჩევენ, თქვენი შესაძლებლობები, ნიჭი და უნარები თამამად გამოავლინოთ. დიდი შანსია, ამ წელს უფრო სტაბილური და მაღალი შემოსავალი მიიღოთ. თუმცა, საეჭვო წამოწყებებსა და სესხების აღებას მოერიდეთ. ფინანსური სტაბილურობა მოგცემთ შესაძლებლობას, თვითგანვითარებაზე იფიქროთ. 2026 წელს გექნებათ შანსი, რომ უნარები გაიმრავალფეროვნოთ და წარმატებას მიაღწიოთ.

თევზები (19 თებერვალი - 20 მარტი)

2026 წელს, თევზებს გარემოებები მნიშვნელოვანი ცვლილებებისკენ გიბიძგებთ. თუ ამ წელს იმ იდეებისა და გეგმების განხორციელებას დაიწყებთ, რომლებზეც დიდი ხანია ფიქრობთ, მაგრამ აქამდე რაღაც გიშლიდათ ხელს, ცეცხლოვანი ცხენის წელიწადში დიდ წარმატებას მიაღწევთ. მთავარია, რომ სიახლეებისთვის მზად იყოთ. თქვენი ცხოვრების ბევრ სფეროში 2026 წელი მნიშვნელოვან ცვლილებებს გიმზადებთ. სამსახურში ახალი პროექტები, ასევე პირად ცხოვრებაში ცვლილებები თავიდან რთულად მოგეჩვენებათ, მაგრამ ამ სირთულეების გადალახვით მიაღწევთ იმას, რაც გსურთ.

გთხოვთ გაითავისოთ ეს პროგნოზები და გამოიყენოთ შესაძლებლობების მაქსიმუმი, რომ 2026 წელი კეთილ მოგონებად დარჩეს თქვენს ცხოვრებაში, დარჩეს როგორც მშვიდობის, წარმატებების, თქვენი კეთილდღეობის გაუმჯობესების და ჩვენი ქვეყნის გაძლიერების წელი!

თერჯოლელთა გასული წლის სპორტული მონაპოვარი

2025 წელს თერჯოლის სპორტსკოლის აღსაზრდელებმა სხვადასხვა რანგის სპორტულ შეჯიბრებებში მოიპოვეს 55 ოქროს, 63 ვერცხლის და 63 ბრინჯაოს მედალი. შობა-ახალ წელს ვულოცავთ თითოეულ მათგანს და მათ მწვრთნელებს. იმედი გვაქვს, რომ ახალ 2026 და შემდგომ წლებში ისინი ბევრჯერ გაგვახარებენ ახალი გამარჯვებებით.

აქვე გთავაზობთ თერჯოლის სპორტსკოლის სპორტსმენთა შედეგებს გასული წლის ნოემბრის თვის ბოლო დღეებსა და დეკემბერში ჩატარებულ ტურნირებზე.

28-30 ნოემბერი, ქალაქი ჩოხატაური. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ და ებრაელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

ლილიანა ტყავაძე II ადგილი.

ტაისია ტყავაძე III ადგილი.

28-30 ნოემბერი, ქალაქი წყალტუბო. მსოფლიო ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის თეიმურაზ აფხაზავას XXIII საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში.

გიორგი ჩოგოვაძე I ადგილი.

გოჩა ნიკოლაძე II ადგილი.

5-7 დეკემბერი, თურქეთი, ქალაქი ბურსა. მსოფლიო ჩემპიონატი „ალპაგუტში“.

ზურა ბოჭორიშვილი II ადგილი.

თემურ ბუცხრიკიძე II ადგილი.

ლუკა კირკიტაძე II ადგილი.

5-7 დეკემბერი, ქალაქი თბილისი. საქართველოს უშუს XXII ეროვნული ჩემპიონატი.

ტატო სარდანაძე II ადგილი.

ვახტანგ ობოლაძე II ადგილი.

6-7 დეკემბერი, ქალაქი თერჯოლა. თერჯოლის ღია პირველობა აკრობატიკაში.

მოზარდთა მესამე თანრიგი

ნია ჭანტურიძე და ლიზი ექსეულიძე—მეორე ადგილი.

მოზარდთა მეორე თანრიგი

ბარბარე მარუაშვილი, თეკლა ფანჩულიძე, ქრისტინე ძოწენიძე—პირველი ადგილი.

16-18 დეკემბერი, ქ. ქუთაისი, გივი სარდანაძის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

ზურა ბოჭორიშვილი III ადგილი.

17-18 დეკემბერი, ქ. წყალტუბო. დავით ხახალეიშვილის და აკაკი კიბორძალაძის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

ნიკა ბრეგაძე III ადგილი.

მწვრთნელები: **თამარ ხოჯაშვილი, ლერი რობაქიძეიმ, ლერი ჯიხვაშვილი, მალხაზ თურქაძე, ზურაბ გავაშელაშვილი, ონისე ბოჭორიშვილი, ლალი დიაკონიძე, გიგა ჩაფიძე, გიორგი კირკიტაძე.**

ელგუჯა გოგბერაშვილი,
სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი

თერჯოლის სპორტსკოლამ წლის საუკეთესო სპორტსმენები დაასახელა

მართა კუტალაძე

საბა სულამანიძე

ტაისია ტყავაძე

სამბო

დათო ხუჯაძე—საქართველოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის მონაწილე.

ქეთი ბუცხრიკიძე—საქართველოს ჩემპიონი, ევროპის მესამე პრიზიორი.

ძიუდო

ნიკა ბრეგაძე—საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ევროპის თასის ვიცე ჩემპიონი, დავით ხახალეიშვილის და აკაკი კიბორძალიძის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორი.

ალპაგუტი

თემურ ბუცხრიკიძე—მსოფლიო ჩემპიონატი, თურქეთი. მეორე ადგილი.

ჭადრაკი

მართა კუტალაძე—საქართველოს ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში 8 წლამდე გოგონათა შორის. მეორე ადგილი.

ბ/რ ჭიდაობა

ლუკა ბუიღლიშვილი—საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი.

ქართული საბრძოლო ხელოვნება ხრიდოლი

ზურა ბოჭორიშვილი—საქართველოს ჩემპიონატი პირველი ადგილი.

ქართული ჭიდაობა

საბა სულამანიძე—საქართველოს თასის მესამე პრიზიორი.

ჭადრაკი

ტაისია ტყავაძე—იმერეთის საკვალიფიკაციო ტურნირი პირველი ადგილი. ბათუმის საერთაშორისო ტურნირი მეორე ადგილი.

თავისუფალი ჭიდაობა

ლილიანა ტყავაძე—ქალაქი ჩოხატაური, საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორი.

უშუ

ტატო სარდანაძე—საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე პრიზიორი.

გილოცავთ! ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს! ველით მორიგ და დიდ წარმატებებს!

მოდის „საპოვნელას“ ახალი თაობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან და მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან ერთად საფეხბურთო კლუბ ,,საპოვნელას" 2025 წლის შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრო.

საპოვნელას შემაჯამებელ ღონისძიებაზე წარმატებული სპორტსმენები, საპატიო სტუმრები, ფეხბურთის მწვრთნელები და ის ადამიანები დააჯილდოვეს, ვინც თერჯოლაში ფეხბურთის განვითარების საქმეში წვლილი შეიტანა, პრეზენტაციის სახით წარმოდგენილი იყო მიმდინარე წელს საპოვნელას სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის აღსაზრდელთა წარმატებები.

ღონისძიებას, რომელსაც მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლემ უმასპინძლა, ადგილობრივი თვითმმართველობის, იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის და ადგილობრივი რესურსცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ახალი წელი ახალი აღმასვლის წელი ყოფილიყოს!

უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ რაც „საპოვნელა“ ქვეყნის საფეხბურთო კლუბების უმაღლეს ლიგაში აღზევდა და იგი მალევე დატოვა, ყველაფერი თავიდან დაიწყო... მოკლე დროში ახალი გუნდი საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის რეგიონლიგის დასავლეთის ზონის ბინადარი გახდა და გასულ წელს, მისი პირველი მონაწილეობა ამ ლიგაში მე-4 ადგილზე დაასრულა, რაც დებიუტანტისათვის კარგი შედეგია.

წინასაახალწლო დღეებში შევხვდით და ვესაუბრეთ „საპოვნელას“ მთავარ მწვრთნელს რამაზ გურაბანიძეს. ჩვენთან საუბარი მან მადლობით დაიწყო.

„მადლობა თერჯოლის თვითმმართველობას, პირადად მერს მანუჩარ რობაქიძეს, საკრებულოს დეპუტატებს, საკრებულოს ახალ თავმჯდომარეს სოსო ჩაფიჩაძეს თანადგომისათვის, რაც იმედი გვაქვს, რომ ახალი წლიდან კიდევ უფრო გაძლიერდება.

გვახარებს, რომ 2026 წელს დაიწყება თერჯოლის ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია, შეიცვლება მოედნის საფარი და ტრიბუნები. აიგება ახალი ადმინისტრაციული შენობა, მოეწყობა ტაბლო და განათება.

რა თქმა უნდა ჩვენც შევეცდებით, რომ თანადგომას შესაბამისად ვუპასუხოთ ჩვენი თამაშით და დადებული შედეგებით.

ვსარგებლობ შესაძლებლობით და შობა-ახალ წელს ვულოცავთ ჩვენს თერჯოლასა და თერჯოლელებს“.

თერჯოლის წლის საუკეთესო გუნდად თერჯოლის „საპოვნელას“ საფეხბურთო გუნდი დასახელდა

ქრისტეშობას და ახალ, 2026 წელს ვულოცავთ ჩვენს ფეხბურთელებს, მათ მწვრთნელებს, ტექნიკურ პერსონალს, გულშემატკივრებს, „საპოვნელას“ ყველა თაობას. ვუსურვებთ მაღალი შედეგების მიღწევას ყველა რანგის ტურნირებში.

1☞ ალილო თერჯოლაში

ეს მასშტაბური სადღესასწაულო ღონისძიება, მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით უკვე მესამე წელია ეწყობა. ღონისძიებაში ადგილობრივი თვითმმართველობა, თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი (შალამბერიძე), ასევე სასულიერო პირები და მუნიციპალიტეტის მოსახლეობა იყო ჩართული.

საზეიმო ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე, მერის მოადგილეები, ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეუერთდნენ.

ალილოს მსვლელობაში აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებები, ადმინისტრაციული ერთეულები, ა(ა)იპების წარმომადგენლები და ქალაქში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციები.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მოსწავლეები ალილოს მსვლელობას მთელი დღის განმავლობაში, სხვადასხვა ადგილებზე სასაჩუქრე კალათებით, საშობაო ძღვენით და საშობაო თემატიკაზე წინასწარ მომზადებული,მისალოცი სახალისო -შემოქმედებითი ნომრებით უერთდებოდნენ.

,,ალილო 2026" დღის ბოლოს, ქალაქის ცენტრში ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძართან დასრულდა.

ალილოს მონაწილეებს შობა-ახალი წელი მიულოცა მეუფე გიორგიმ, მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა მაკა ასათიანმა, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, სასულიერო პირებმა. მათ შობა-ახალი წლის მილოცვასთან ერთად მათ მადლობა გადაუხადეს ალილოს მონაწილეოებს ღონისძიებაში აქტიური ჩართულობისათვის, უსურვეს მშვიდობა, ჯანმრთელობა და წარმატებები...

ალილოს მსვლელობისას შეგროვილი საშობაო ნობათი მუნიციპალიტეტის შეჭირვებულ ოჯახებს, ბავშვებთა და მოხუცთა სახლებს გადაუნაწილდება.

ღონისძიება, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

თოვლის სიმფონია...

შპს „თერჯოლა"

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55

მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:

ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ"-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

RESGE22

ანგარიში

8 2633 7499

ს/კ 231948872